143
192

...ოლეცსარული მნერლობა

ფ. ნაროუშვილი—ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში (ლექსი პირველი) კ. ლორთქიფანიძე—ნაწყვეტები რომანიდან. კ. ბობოხიძე—საბჭოთა აბხაზეთი. გ. კაჭახიძე—ამაანაგური. ს. ჯავშანიძე—პირველი ტრაქტორი. გ. ჭუჩიშვილი—მხიარული ...ა. შ. რადიანი—ელიზბარ პოლუმორდვინოვი. ალ. სეფლავა-ერთი პროლეტარული რომანის შესახებ.

ივლისი
აგვისტო

7-8

სახელგ
192

899.962.1(05)
Ж-82
1928

წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროლეტარული მწერლობა

№ 7—8
(19—20)
ივლისი
აგვისტო
1928 წ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური ორგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსამიძის, ა. მაშაშვილის, შ. რადიანის,
დ. რონდელის და კ. ფეოდოსიშვილის რ ე დ ა ქ ც ი ი თ.

8/05
Ж-82

ფრ. ნაროუშვილი

592.
1986

ყოფაცხოვრება საბჭოთა სოფელში

ლექსი პირველი

წყალდიდობის შემდეგ

ჩვენში ავდარი იყო ხანგრძლივი,
წამოიზარდა ბულახ-ბალახი;
ზეცა წვიმიან კვამლით დამძიმდა
და შარა-გზებზე დადგა ტალახი.
თოლი მოავლო სივრცეს მოხუცმა:
გოლვა მოელის ჩვენსა მხარესო,
ღრუბლებისაგან ცა დაიცლება,
ზეგ, ან ხვალის ზეგ გაიდარებსო.
მაგრამ ღრუბლებში ცა ჩაძირული
აენთო უცებ ელვა მეხებით,
მოვიდა წვიმა კოკისპირული,
გაანადგურა ყანა გლეხების,
და იღლიამდის ატალღებული,
წლის მოსავალი ბისცა ნიაღვარს—
ასე სტირდამ ჩვენი ბოფელი

ტ ფ ი ლ ი ს ი
საჯარო ბიბლიოთეკა
სკოლის გარეშე
ბიბლიოთეკა
განათლების ცენტრი

თითქმის ერთბაშად გაანიავა.
გლეხებს წუხილი შემოეყარათ,
მერმინდელ დღეზე ბჭობდენ დაობდენ,
კარებთან მომდგარ ზარალის გამო
ქონდათ აზრების სხვა და სხვაობა.
მათი წისქვილი მდინარის პირას
იყო ნაგები კოლექტიურად,
აქ ბაასობდენ ისინი ხშირად,
ყოფდენ მოსავალს ყოველთვიურად.
მე ზაფხულობით მელიან გლეხები
ავდრიან დღესა მათ ვესტუმრები
მათთვის საჭირო საკითხებს ვეხები
ამბებს ქვეყნის ვესაუბრები.
დარჩენ მათ შორის ზოგიერთები
მსოფლიო ომში ვინაც გასულან,
უნდათ უამბო მონათმფლობელებს
თუ ჩიჩერინმა რა უპასუხა.
არ გვინდა ომი, მწვერვალოებზე
ფრიალებს ჩვენი დროშა გაშლილი,
იცავს მსოფლიო საბჭოების მზეს
რესპუბლიკების მტკიცე კავშირი.
გარეთ წვიმაა, შიგნით მღერიან,
და ღრიალებენ, წისქვილის ქვები;
მოდის ბობოლა—ჩვენი მტერია
სოფლად მთესველი ბოროტი ხმების.
ბოლოს ალმოჩნდა პრავაკატორი,
პაექრობაში რომ ჩაერია:
„იცით? გრიგალი მოხდა რატომო,
ანდა ჩვენს ირგვლივ რა ჰაერია?
„ალმასკომის წინ ხატი გორაობს,
ტალახში ჯვარი ჩაჟანგებული,
ცა სამერმისოთ ჩამოგვენგრევა
წყალდიდობისგან გატაცებულებს.
„სახარებები ვარაყ-ყდიანნი,
ნაყიდი მრავალ ოქროს ფულებით
ნაფლეთ, ნაფლეთად გაუხდიანო
ულმერთოების განკარგულებით.
„ჩვენში ურწმუნო ახლა ბევრია,

ვართ ბოროტებით ამოვსებული,
ამ ულმერთოთა ჯგუფის წევრია
ახალგაზრდა თუ მოხუცებული...
მაშინ ჭალარა ულმრთოთაგანი
მოსულ ბობოლას გაეკამათა:
ჯვრები, ხატები და სხვა ამგვარი
შენთვის მიძღვნია ერთი კალათა.
ასე გლეხები წვიმიან დღესა,
როცა წისქვილში თავს მოიყრიან,
ხუმრობენ, ბჭობენ და სათითაოდ
წარსულ-მერმინდელ ამბებს იტყვიან.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ნაწყვეტები რომანიდან

მარჯვენა ჯიბიდან ყველასთვის ხელის მომმართველი, თუ მარცხენა ჯიბე უკვე გრძნობს ყველასგან გამორჩენილ ოქროს სიმძიმეს.

ქველმომქმედი, როცა გავლენიან, მისთვის გამოსადეგ „მედროვეს" ჩაკეტილ კართა გაღებაა საჭირო.

გულშემატკივარი, ყოველ გულწრფელობის გარეშე, თავმდაბალი და ყველასადმი სიყვარულით გამსჭვალული, როცა ესენი არაფრად არ ეღირს.

საერთოდ, ყოველ საქმეში საკუთარ ანგარებით დაინტერესებულ აზნაურ ბარნაბას მცირე რაოდენობით შემორჩენოდა ძარღვებში „ ცისფერი" სისხლი წინაპართა, რომლებიც—მფლობელნი თვალით დაუჭერელ მამლებისა—წამოწოლილ იყვნენ რბილ მუთაქებზე და ნელ-ნელა აგირავებდენ სათავად-აზნაურო ბანკში ქონებას. აღებულ ოქროთი ითბობდენ ხელებს, უდარდელად მარცვლავდენ კრიალოსანს, რომ გაღატაკების შემდეგ „კავალერიის" ოფიცრის ბრჭყვიალა მუნდირებში და კარტის თამაშში ამოათავონ დარჩენილი დღეები.

ბარნაბამ კარიერა უდიპლომო ვექილობით დაიწყო.

ყოველ საკითხზე, მიუხედავათ თავის კლასიკურ დილეტანტობისა, შეეძლო ელაპარაკნა თბილი ხავერდოვანი ტენორით სამი საათი.

კარიერის შექმნაში გამჭრიახ გონების გარდა, რომელშიდაც ჭკვიანური და შორსმჭვრეტელი აზრები სიხანგრძლივით და სიმძლა-

ვრით წუმწუმის ეფექტს ედრებოდენ—შველოდა გარემოსადმი მიმ-
გუებელი და ენტუზიაზმით სავსე ბუნება.

ხარბათ თავმოყვარე და უიდეალო ბარნაბამ საგუბერნიო ქა-
ლაქ კობში საზოგადო მოღვაწის სახელი დაიმსახურა.

ამ დამსახურების საიდუმლოებას ბარნაბა მის მიერ შედგენილ
აფორიზმით გამოხატავს.

— ცოტა შენ, ცოტა მას, და ცოტა მეცო.

მართლაც, ყოველი წამოწყება ან პირველ შეხედვით ძნელად
აღსასრულებელი საქმე საკმარისი იყო გადახლართოდა ბარნაბას ინ-
ტერესებს, რომ იგი, წამოწყების და საქმის პატრონებს, იმგვარად
დაბოლოვებულად ეგულებიათ, როგორც მათ ჰქონდათ განზრახული.

ამუშავებს ბარნაბა დიდკაცების წინაშე ათეულ წლების დაკ-
ვირვებებს და გამოცდილებებს.

მზად აქვს ქრთამი, სადაც ჭკუა ვერ გაუჭრის.

ლამაზი ქალები, სადაც ბარნაბას ტკბილი სატყვები კედელზე
შეყრილ ფეტვს ემგვანებიან.

გაზეთის პირველ გვერდზე ხოტბა-პატივმოყვარეთათვის.

მდიდარი ვახშამი—როცა ვინმეს გაცნობა სურს.

ზედმიწევნით შესწავლილი აქვს ბარნაბას ადამიანთა სისუსტე-
ნი და გულისთქმანი. ანკესზე ყოველთვის ისეთ ცხოველს წამო-
აგებს, რომელსაც აუცილებლად დაჰკრავს მის მაღლა მდგომი და სა-
ჭირო კაცის სუსტი მხარე.

არ ზოგავს არაფერს, ერთი-ორად ანაზღაურების იმედით.

ერთის მხრით მდიდარი ვაჭრები, ქვანახშირის მწარმოებლები,
მსხვილი მოიჯარადრეები—მეორეს მხრივ, ფულის და სამსახურის ძე-
ბნაში ჩამომხმარი იმერელი თავად-აზნაურობა—ბარნაბაში ხედავს
უკანასკნელ ნავთსაყუდელს, სადაც მათმა სურვილებმა და იმედებმა
დიდი ხნის უშედეგო ხეტიალის შემდეგ, მშვიდად უნდა ჩაუშვას ლუზა.

ბარნაბას მოქმედების რუქა მარტივია.

მაგ:

აზნაურ „პეტრეს" მამულში ქვანახშირი ან ბარიტი ან სხვა
რამ აღმოჩნდა, ხსენებულ მამულის შესყიდვა მწარმოებელ „პავლეს"
სურს. ბარნაბა ყნოსვით იგრძნობს ამ საქმეში „ცოტა მეც"-ოს შე-
საძლებლობას; (პეტრესა და პავლეს თვალში დიდი მადლობის დამ-
სახურების, ქალაქში სახელის განთქმის და დანარჩენ „პეტრეების"
და „პავლეების" გულში ნდობის მოპოვების გარდა).

დატრიალდება ბარნაბა და მის ზემოჩამოთვლილ თვისებებს
წყალივით მიაგდებს ღარზე.

ბოლოს უნდა დატრიალდეს წისქვილიც.

საჭიროა: გზის გაკეთება, სახლების აშენება. მამულების დაგირავება. ჯარისათვის მიმწოდებელ მოიჯარადრის შოვნა—ყველგან ბარნაბას ეძახიან, ყველას ბარნაბა ეძახის. დაუღალავ საქმიანობის და უტეხ ენერგიის წყალობით ერთხელ ავარდნილი სახელი ზღაპრულ სისწრაფით გაეზარდა, გაუდიდდა და როცა მოშურნე პირებმა ბარნაბას სახელის ზრდის შეჩერება სცადეს—გვიანღა იყო.

ერთი გუბერნატორის თვალში სოციალისტი აღმოჩნდა და ციმბირისაკენ გაემგზავრა.

მეორეს ყალბი ვექსილები აღმოუჩინეს. მესამეს ხელშეკრულება დაურღვიეს და აღებული იჯარა ჩამოართვეს.

ყველამ იგრძნო ამ ამბებში ბარნაბას ხელი და მოსალოდნელ, მეტ უბედურების ასაცილებლად ამჯობინეს სრულიად ჩაჩუმება.

ბარნაბას გავლენა გაათკეცდა.

მოქმედების არე გააფართოვა.

პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგი მოსინჯა.

ნახშირის ერთ მაღაროში გაფიცულ მუშების წინაშე დაპირებებით და მშვიდობიანობისაკენ მოწოდებით გაჟღენთილმა რამოდენიმე გამოსვლამ და ბოლოს შტრეიკბრეხერების შოვნამ ნაყოფი გამოიღო. გაფიცვის ტალღა შეჩერებულ იქნა.

რამდენიმე მწარმოებლის გულის მოგება საკმაო შეიქნა, რომ ზედიზედ, სამი წლის განმავლობაში ქალაქის მმართველობის ხმოსნობის შემდეგ, ბარნაბა აერჩიათ ქალაქის თავად.

არავის არ ეუცხოვა.

ზოგიერთს კიდეც ეპატარავა ბარნაბაში ჩამარხულ შესაძლებლობებისათვის ქალაქისთავის სავარძელი.

მოირთხა რა ფეხნი ბარნაბამ იგრძნო: მისი, მოდიდებულ მდინარესავით სწრაფად მოხეთქილი კარიერა დაშრება და მალე გაიჩენს ფონს, თუ ჯეროვნად არ განამტკიცებს თავის მდგომარეობას.

დაკვირვებამ აგრძნობინა: ვაჭრების და მწარმოებლების ინტერესებიდან საკუთარ ინტერესების ჩამოშორება ქალაქისთავის სავარძელს გამოაცლის.

მიხვდა: საჭიროა მათზე საფუძვლიანათ დაყრდნობა, ხშირი დათმობანიც და პირადობის გადაწევა უკანა რიგში.

პრაქტიკულმა ჭკუის სიფრთხილემ უკარნახა: მის ირგვლივ აყაყანებულ მტრების საბოლოო განადგურებისათვის საჭიროა, არა საკუთარ თავის დასაცავ ზღუდეთა გამაგრება—არამედ პირიქით, მტრებზე მოულოდნელ იერიშების მიტანა.

ბარნაბა ფიქრობს;—საჭიროა გზის შეცვლა, არ შეიძლება ყველას ასიამოვნო. ცხოვრება ბრძოლის ველია. დროშას გამარჯვებით ის გამოიტანს, ვინც ამა სოფლის ძლიერებთა სურვილების გამომსახველია. ჯიბე-დაცლილი და სიზარმაცეში ჩამხრჩვალი აზნაურობა წელზე ფეხს იდგამს დღიურ საზრდოს ძებნაში. მოსჭამეს თავიანთი დრო და გადაშენების გზას დაადგენ!

ორხელ თუ სამხელ შეეცადა ბარნაბა მათ გამოფხიზლებას.

საქმეში ჩაბა, იჯარები ააღებინა, ამხანაგობანი დაუარსა და ბანკიდან გრძელვადიანი სესხი მისცა.

ერთ წელს იბოგინა ამხანაგობებმა. წლის ბოლოში გამოირკვა არამც თუ მოგება, თავნიც გამქრალა. მოიჯარადრეებმა იზარალეს.

ბარნაბამ ჩაიქნია ხელი.

— მოვტყუვდი, არა სიზარმაცე და ხელგაშლილ ცხოვრების სიყვარული უშლის ხელს ჩვენს თავად-აზნაურობას, არამედ ცოდნის, ცოდნის ნაკლებობა. არ გააჩნიათ გამოცდილება, საქმის თავი და ბოლო ერთმანეთისათვის ვერ დაუკავშირებიათ. დასაყრდენი წერტილი ვერ გამოუნახავთ. როგორ გავბრიყვდი: იმ ხალხს საქმე ჩავაბარე, რომლებმაც არამც თუ მომავალ თვეებში და წლებში, არამედ დილიდან საღამომდე რა უნდა გააკეთონ ისიც არ იციან. საკუთარი ცხოვრება ვერ მოუწესრიგებიათ, თორემ ვიღაც გასიებული, ორი ტკაველა ვაჭარი როგორ აჯობებს საკნიან იმერელ აზნაურს! განა ვაჭრები ნაკლებ ხელ-გაშლილათ ცხოვრობენ! პირის გემო არ იციან თუ რა, გემოც აქვთ და ჭკუაც; მანეთს რო დახარჯავენ, უკვე იციან, ორი მანეთი საიდან გააჩინონ.

— აზნაურების მიწებზე სხვები კეთდებიან, ზღვის კენჭებივით კრებენ ოქროებს. მათ კი შემოუკალათნიათ ჩოხები და მიწაზე ფეხებს არ აკარებენ. ისე დადიან. კუჭი კი უხმებათ. სად იყვნენ, სად ჰქონდათ ჭკუა, ჩალის ფასად რომ დაანიავეს მიწები! აზნაურობასთან კავშირი ვერაფერს მისცემს ბარნაბას; მენავემ თუ ნიჩბები დაჰკარგა, მშვიდობით მერე, გათავდა მისი საქმე, იგი ტალღების სათამაშოა, სანამ ქვაზე არ მიამტვრევს ქარი.

— მომავალი ვაჭრებს და მწარმოებლებს ეკუთვნის. ვინ დაუშლის, მთლად გადათხრიან საქართველოს მთებს. ვინ იცის, რაა შიგ? ცოდნა, ფული და მანქანები მაგათ აქვთ. მე შენ გეტყვი და ცოტაა მუშა ხელი. მთელი გლეხობა ქალაქს ეტანება ლუკმა პურის საძებრათ. მიაყენებენ წერაქვებით შეიარაღებულ ჯარს და ქვას-ქვაზე არ დასტოვებენ.

— ბუზ მიუკარებელმა ვაჟბატონებმა ცერზე შედგენ და ისე უცქირონ თავიანთ ყოფილ სამეფოში სხვათა თარეშს. ეხ, წახდა მეფეების საქმე. ,,დრონი მეფობენ და არა მეფენი''-ო, მაგათ შესახებ ყოფილა მოგონილი.

მეფეთა საქმის წახდენაში, დროთა მეფობაში და ახალ მეფეების ხანგრძლივობაში ბევრი რამ გაურკვეველია ბარნაბასათვის.

მაგრამ წვრილმანები, რომელთაც ეხება და ყოველდღიურ საქმიანობის ხასიათი ნათლად უმტკიცებს: ცხოვრების მაჯის ცემას თუ მთლიანათ არა, ნაწილობრივ მაინც დაეპატრონა ,,ორი ტკაველა'' ვაჭრის და აყალო მიწაში ამოსვრილ მწარმოებლის ხელები.

გრძნობს: ეს ხელები დღევანდელ საბადებელით არ დაკმაყოფილდებიან, მეტად და მთელ ქვეყანას მოამწყვდევენ თავის რკალში.

ვისაც სიბერის დღეთა სიმწარე არ სურს იგემოს, ვინც ზრუნავს მემკვიდრეების მომავალზე მან უნდა ემსახუროს ამ ხელების ინტერესს.

მათია მომავალი,

მაშასადამე მათშია სიმძლავრე.

▲

საღამოა.

ნიავი სასიამოდ ურტყამს სიგრილეს ბარნაბას ბალნიან ფეხებს, დაბალ სკამზე შემოწყობილს.

ათვალიერებს გაზეთს: როცა თვალები უსიამოვნო ან საწინააღმდეგო აზრს წააწყდებიან, ბარნაბა მარცხენა ხელის თითებით მოიფხანს შავ წვერს და ქეჩაზე მიმავალ ხალხს გადახედავს.

აივანზე საქანელა სკამზე ქანაობს ბარნაბას ქალიშვილი მარინე. ზანტად ფურცლავს ჟურნალ ,,Всемирная война''-ს.

ბარნაბამ გადასდო გაზეთი და თითქო გააგრძელა დაუმთავრებელი კითხვა—წაილაპარაკა.

— მოვიქანცე. ამ ზაფხულში თუ არ დავისვენე, მოვტყდები.

მარინემ დახურა ჟურნალი.

— სად წავალთ? მე ზღვა მენატრება.

ბარნაბამ ქუჩისკენ გადაიხედა.

— ჩვენს სოფელში; დავისვენებთ. თან მამულს მივხედავთ, უპატრონოდ არი მიტოვებული.

ბარნაბა ფიქრობს;—საჭიროა გზის შეცვლა, არ შეიძლება ყველას ასიამოვნო. ცხოვრება ბრძოლის ველია. დროშას გამარჯვებით ის გამოიტანს, ვინც ამა სოფლის ძლიერებთა სურვილების გამომსახველია. ჯიბე-დაცლილი და სიზარმაცეში ჩამხრჩვალი აზნაურობა წელზე ფეხს იდგამს დღიურ საზრდოს ძებნაში. მოსჭამეს თავიანთი დრო და გადაშენების გზას დაადგენ!

ორხელ თუ სამხელ შეეცადა ბარნაბა მათ გამოფხიზლებას.

საქმეში ჩააბა, იჯარები ააღებინა, ამხანაგობანი დაუარსა და ბანკიდან გრძელვადიანი სესხი მისცა.

ერთ წელს იბოგინა ამხანაგობებმა. წლის ბოლოში გამოირკვა არამც თუ მოგება, თავნიც გამქრალა. მოიჯარადრეებმა იზარალეს.

ბარნაბამ ჩაიქნია ხელი.

— მოვტყუვდი, არა სიზარმაცე და ხელგაშლილ ცხოვრების სიყვარული უშლის ხელს ჩვენს თავად-აზნაურობას, არამედ ცოდნის, ცოდნის ნაკლებობა. არ გააჩნიათ გამოცდილება, საქმის თავი და ბოლო ერთმანეთისათვის ვერ დაუკავშირებიათ. დასაყრდენი წერტილი ვერ გამოუნახავთ. როგორ გავბრიყვდი: იმ ხალხს საქმე ჩავაბარე, რომლებმაც არამც თუ მომავალ თვეებში და წლებში, არამედ დილიდან საღამომდე რა უნდა გააკეთონ ისიც არ იციან. საკუთარი ცხოვრება ვერ მოუწესრიგებიათ, თორემ ვილაც გასიებული, ორი ტკაველა ვაჭარი როგორ აჯობებს საკნიან იმერელ აზნაურს! განა ვაჭრები ნაკლებ ხელ-გაშლილათ ცხოვრობენ! პირის გემო არ იციან თუ რა, გემოც აქვთ და ჭკუაც; მანეთს რო დახარჯავენ, უკვე იციან, ორი მანეთი საიდან გააჩინონ.

— აზნაურების მიწებზე სხვები კეთდებიან, ზღვის კენჭებივით კრებენ ოქროებს. მათ კი შემოუკალათნიათ ჩოხები და მიწაზე ფეხებს არ აკარებენ. ისე დადიან. კუჭი კი უხმებათ. სად იყვნენ, სად ჰქონდათ ჭკუა, ჩალის ფასად რომ დაანიავეს მიწები! აზნაურობასთან კავშირი ვერაფერს მისცემს ბარნაბას; მენავემ თუ ნიჩბები დაჰკარგა, მშვიდობით მერე, გათავდა მისი საქმე, იგი ტალღების სათამაშოა, სანამ ქვაზე არ მიამტვრევს ქარი.

— მომავალი ვაჭრებს და მწარმოებლებს ეკუთვნის. ვინ დაუშლის, მთლად გადათხრიან საქართველოს მთებს. ვინ იცის, რაა შიგ? ცოდნა, ფული და მანქანები მაგათ აქვთ. მე შენ გეტყვი და ცოტაა მუშა ხელი. მთელი გლეხობა ქალაქს ეტანება ლუკმა პურის საძებრათ. მიაყენებენ წერაქვებით შეიარაღებულ ჯარს და ქვას-ქვაზე არ დასტოვებენ.

— ბუზ მიუკარებელმა ვაკბატონებმა ცერზე შედგენ და ისე უცქირონ თავიანთ ყოფილ სამეფოში სხვათა თარეშს. ეხ, წახდა მეფეების საქმე. ,,დრონი მეფობენ და არა მეფენი''-ო, მაგათ შესახებ ყოფილა მოგონილი.

მეფეთა საქმის წახდენაში, დროთა მეფობაში და ახალ მეფეების ხანგრძლივობაში ბევრი რამ გაურკვეველია ბარნაბასათვის.

მაგრამ წვრილმანები, რომელთაც ეხება და ყოველდღიურ საქმიანობის ხასიათი ნათლად უმტკიცებს: ცხოვრების მაჯის ცემას თუ მთლიანათ არა, ნაწილობრივ მაინც დაეპატრონა ,,ორი ტკაველა'' ვაჭრის და აყალო მიწაში ამოსვრილ მწარმოებლის ხელები.

გრძნობს: ეს ხელები დღევანდელ საბადებელით არ დაკმაყოფილდებიან, მეტად და მთელ ქვეყანას მოამწყვდევენ თავის რკალში.

ვისაც სიბერის დღეთა სიმწარე არ სურს იგემოს, ვინც ზრუნავს მემკვიდრეების მოპავალზე მან უნდა ემსახუროს ამ ხელების ინტერესს.

მათია მომავალი,

მაშასადამე მათშია სიმძლავრე.

▲

საღამოა.

ნიავი სასიამოდ ურტყამს სიგრილეს ბარნაბას ბალნიან ფეხებს, დაბალ სკამზე შემოწყობილს.

ათვალიერებს გაზეთს: როცა თვალები უსიამოვნო ან საწინააღმდეგო აზრს წააწყდებიან, ბარნაბა მარცხენა ხელის თითებით მოიფხანს შავ წვერს და ქეჩაზე მიმავალ ხალხს გადახედავს.

აივანზე საქანელა სკამზე ქანაობს ბარნაბას ქალიშვილი მარინე. ზანტად ფურცლავს ჟურნალ ,,Всемирная война''-ს.

ბარნაბამ გადასდო გაზეთი და თითქო გააგრძელა დაუმთავრებელი კითხვა—წაილაპარაკა.

— მოვიქანცე. ამ ზაფხულში თუ არ დავისვენე, მოვტყდები.

მარინემ დახურა ჟურნალი.

— სად წავალთ? მე ზღვა მენატრება.

ბარნაბამ ქუჩისკენ გადაიხედა.

— ჩვენს სოფელში; დავისვენებთ. თან მამულს მივხედავთ, უპატრონოდ არი მიტოვებული.

ფოსტლებს ფეხი გაუყარა.

— ხმები მომდის; მოურავი რაღაცას მამაძაღლობს მგონი.

წამოდგა.

მარინემ უკმაყოფილებით ტუჩები მოკუმა. უფრო მძლავრად დაარწია სკამი.

— რა შეედრება ჩვენი ჭადრების ჩრდილს!

წაიოცნება.

შეფიქრდა.

— შესაძლებელია საქმის მიტოვება? ვინ იცის, რა მოხდება, ან რას მოახდენენ?!

ბარნაბა იჭვიანია, იჭვიანობამ სიფრთხილეს შეაჩვია.

მაგრამ ეხლა მცირე ხნით საქმეებიდან განდგომა მისთვის აუცილებელია.

ტყდებიან ძველი დამოკიდებულებანი.

ბარნაბა სიმარტოვეში შეაჯამებს განვლილ გზას. მთლიანად დაიხატავს თვალწინ დღევანდლობას და ჩამოაცილებს მომავლის ფიქრებს თანდაყოლილ ბუნდოვანებას.

— ლადოს რეპეტიტორი იყო შუადღით.

— რაო!

გამოეხმაურა მარინეს ფიქრებში შესული ბარნაბა.

— მოგვილოცა—არ მოველოდი ისე კარგად ჩააბარა გამოცდებიო;

— ყოჩაღ!

სთქვა ბარნაბამ.

მარინემ ვერ გაიგო: ვინ იყო ყოჩაღი, ძმა თუ რეპეტიტორი.

ბარნაბას თავისებური სიყვარულით უყვარს შვილები. შვილების ქვეყანაზე ჩვეულებრივად წარმოშობის მიუხედავად, ისე უცქერს მათ, თითქო ისინი მისი განსაკუთრებული უნარიანობით და მოხერხებით არიან შეძენილნი. ამიტომ მამის ნება გარდაუვალი კანონია შვილთათვის, უყვარს ისინი, როგორც მორჩილი მანქანები, რომლებიც აწყობილნი არიან მისი სხეულის ნაწილებით და მუშაობენ მისივე სისხლით.

მოახლეს შემოაქვს აშიშინებული სამოვარი, კაბის ყალთა ცალის მხრით წინსაფრის სარტყელით აქვს ჩატნეული.

სწორი, მკვრივი წვივები ატკეჩილი აქვს ცეცხლისგან.

სუფრა გაშალა.

— კიდო ხომ არ მიბრძანებ რამეს?

— ათასჯერ მითქვამს, ჩექმები მამლის ვაქსით არ გაწმინდო-მეთქი. ხეთქავს!

მკვახეთ მიმართა ბარნაბამ.

მოახლემ თავი ჩალუნა, კაბა გაისწორა.

— მედუქნემ იგი მომცა და...

— ქალაქის—თავის გამოგზავნილი ვართქო, უნდა უთხრა შე სულელო, თორემ მედუქნემ, თუ დაგიბრიყვა, სხვა რამესაც შემოგთავაზებს.

იოხუნჯა ბარნაბამ. მოეწონა. გაიღიმა.

მოახლე გათამამდა.

— გუშინ მეხორცეს უთხარი, მაგრამ „დავესკა" მაინც დამიწონა.

ეხლა კი აენთო ბარნაბა.

— დამიძახე ბეკოს!

მოახლე გაიქცა.

შემოვიდა დაბალი, ჩასკვნილი მამაკაცი ვიწრო შუბლზე ბოხოხის ქუდივით ჩამოფხატული აქვს სქელი, გაჯაგრული თმა. ლოყების ამობურთულ ღაწვებში ჩასაფრებულა წვრილი, მოძრავი, ეშმაკური თვალები. ძალზე გამოწეული ქვედა ყბა და სახის მაგარი კუნთები ამხელენ დიდ ღონეს.

— წაყევი ხვალ გოგოს მეხორცესთან და ერთი შენებური ფუთიანი „დავესკები" მიუწონე ცხვირზე.

ბეკომ ქვედა ტუჩი ძირს ჩამოსწია, გაიღიმა და კმაყოფილებით დახედა თავის უზარმაზარ მუშტებს, არა ერთხელ გაგორებულა ეს მუშტები მედუქნეების სახეზე.

— ხვალ სოფელში გავემგზავრებით, მეეტლე დაიბარე.

სიჩუმე დადგა.

ბეკომ ფეხი მოინაცვალა, მერე მიხვდა რომ ტყუილად სდგას, დააღო პირი და გაჭირვებით ამოიღო ერთი სიტყვა.

— კარგი.

მოქცეულ ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.

ბარნაბას შვილებს ერთ ოთახში სძინავს.

მარინე წევს გულაღმა და კითხულობს. ხშირად წიგნს დაჰკეცავს, გვერდი რომ არ დაეკარგოს, შუა თითს შიგ მოაყოლებს და უკმაყოფილოდ ძმის საწოლს გადახედავს.

ბოლოს ვერ ითმენს.

— რა გაწრიალებს ლადო, დაიძინე. შენმა ლოგინის ჭრიალმა სული შემიწუხა.

არ მეძინება.

დაღლილი ხმით ამბობს ლადო.

— რატომ!

კედლისკენ პირ შეუქცეული ძმა გადმობრუნდება, საბანს გადიძრობს.

-- მამასთან ნუ დამასმენ, არ გამიშვებს.

— სად! გაბოდებს?

— გიმნაზიაში.

— თქვენ ხომ დაგითხოვეს!

— კი... მაგრამ...

— ?...

— ხვალ იქ არეულობა მოხდება და...

ველარ მოათავა. მარაგში რაც სიტყვები გააჩნდა, ყველანი გადასინჯა, მოიგონა, მაგრამ რისიც თქმა სურდა, მისს სისწორის გამოსახატავად ვერც ერთი ვერ მიიჩნია.

ამიტომ გაჩუმდა,

მარინემ ჰკითხა.

— დაიძინე?

— არა.

მცირე დუმილის შემდეგ ერთბაშად დააყოლა.

— მე სოციალისტი ვარ.

მარინემ დაამთქნარა:

— სოციალისტი რა არის?

— რა არის და...

ლადო საწოლზე წამოჯდა.

— უფროს კლასიანებს ომი და კაცის მკვლელობა არ სურთ. ხვალ მიატოვებენ გაკვეთილებს. გამოვლენ ქუჩებში დაწყობილნი და მთელ ქალაქს მოივლიან. მე ამხანაგმა მითხრა: (მისი ძმა მეშვიდე კლასშია)—თუ გინდა შენც მოდი, მაგრამ არავის არ უთხრაო.

ლადო გაჩუმდა.

გული მოსდის, რატომ არაფერს არ ჰკითხავს მარინე; ნუ თუ არ აინტერესებს.

იწყობს თითონ.

— იცი რატომ დაიწყო ომი?

— დამანებე თავი.

— არ იცი. მე კი ვიცი. სერბიელმა ავსტრიის პრინცი მოკლა. ავსტრია სერბიას წაეჩხუბა სამაგიეროთ, მე ვნახე მკვლელობის სურათი. პრინცი ლამაზია, ახალგაზრდა არის: მე შემეცოდა ის. სერბიელი კი ჩვენს ბეკოიას გავს, მე რომ იქ ვყოფილიყავ სერბიელს მოვკლავდი.

მარინეს, რომელსაც ძალაუწებურად ესმის ძმის გატაცებული ლაპარაკი, გაეცინა.

ლადო ბრაზობს.

— რა გაცინებს! გავიზრდები და ოფიცერი ვიქნები, გულადი, უშიშარი. გუშინ მამის მოტანილი სურათი ნახე? შავს, ყალყზე შემდგარ ცხენზე ქოჩორა კაზაკი ზის, თერთმეტ ავსტრიელს დარევია და ხოცავს მეც ისეთი ვიქნები. დამხატავენ, მენდლებს მომცემენ.

— დაიძინე.

ყვირის და: ძმა თავისას არ იშლის.

— ხვალ...

მარინე საბანში ეხვევა და ამბობს ლადოს გულმოსაკლავ სიტყვებს.

— ხვალ ჩვენ სოფელში მივდივართ.

. . . . . .

მეორე დილა. შვილები ჩაის სვამენ.

ბარნაბა არიგებს მოსამსახურეებს, აკვრევინებს ნივთებს.

მარინემ მოიზიდა ძმის თავი და ყურში ჩასჩურჩულა.

— ვთქვა?

ლადომ გამოუძინებელ თვალებით ანიშნა უარი.

— ვეტყვი.

აბრაზებს მარინე.

ძმა წითლდება, მოუსვენრად ტრიალებს.

— მეც ვეტყვი.

— რას?

— ტიტიკოს რომ ელაპარაკებოდი გუშინწინ, მამამ ხომ დაგიშალა?!

მარინეს უნდა წაარტყას თავში ხელი, მაგრამ ჩერდება. ძლიერი საბუთი აქვს ლადოს მის წინააღმდეგ.

— გავიდეს მამა, ყურებს დაგაგლეჯ!

ოთახში შემოგორდება ბეკო.

— ეტლი მზად გახლავთ.

▲

მშვენიერი ქალაქია კობი. მწვანე ბალახით მოსილია ქუჩები მისი. ქვის სახლებს შორის ჩანან ძველი, დაბალი აივნებ ჩალეწილი შენობები, გადმომცქერალნი რამდენიმე ასეულ წლოვან თვალებით. განაპირა უბნები ღარიბია და ჭუჭყიანი. აივნიდან აივანზე გაკიდებულ დაკონკილ სარეცხით, თხრილში მოთამაშე უნიფხო გამურულ ბავშებით, დამპალ ხილის და ლეშის სუნით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, თითქო ქალაქი დაუსუფთავებიათ და მთელი სიღარიბე ამ უბნებში გადმოუტანიათო.

ყველაზე საშინელი ქალაქში წვიმაა, თუ ერთხელ აიდგა ფეხი, დილიდან საღამომდე იარს განუწყვეტლივ, მომაბეზრებელი ხმაურით.

მიცხოვრია კობში, მქონია შემთხვევა, წვიმის გამო ქალაქი დამეტოვებინოს, რასაკვირველია, ვერ მოვნახავდი ისეთ ადგილს, სადაც არ იცოდეს წვიმა; მაგრამ დიდ ქალაქებში ბუნების ცვალებადობანი შეუმჩნეველნი არიან. ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი არ ირღვევა და მაგ: ~~ალ~~ გორც კობში, უდარობის გამო თეატრში წარმოდგენა არ გადაიდება. არც ისე პატარა ქალაქია კობი, მაგრამ ძლიერ მშვიდი ხალხი ცხოვრობს შიგ. წლებით გამოჭედილ წესებს მტკიცედ იცავენ თეთრად შეფერილი კედლები და წარმოიდგინეთ, სასადილო დროს მოახლოვებაც კი დაემჩნევა ქალაქს, დაცარიელდება მაშინ ქუჩები და ჩაბარდება სვეტივით აყუდებულ პოლიციელებს და ტკბილ ღრუტუნში ჩაყურულ ღორებს. არც ისე პატარა ქალაქია კობი, მაგრამ არაფერი დაიმალება შიგ. ოღონდ კი წამით გადმოაბიჯოს რომელიმე სახლის კარიდან ოჯახურმა საიდუმლოებამ—მერე იოლად მონახავს დანარჩენ კარებს. ჩამოიარს მთელ ქალაქს, ზოგან სიხარულს დატოვებს, ზოგან კმაყოფილების ნიშნად ულვაშებში ჩაიცინებს ვინმეს; სამზარეულოში ახალ საპორიკანო წყაროს აღმოჩენით გახარებულ დიასახლისს ხარჩოში მეტ მარილს ჩააყრევინებს. მთლად ვინ დასთვლის გაუფრთხილებელ ოჯახიდან გამოპარულ თითის ხელა საიდუმლოების თავგადასავალს, საღამოს ის გულიერივით შეაბიჯებს პატრონის გულში და მოსვენებას წაართმევს.

კარგი ქალაქია კობი,

წესიერობა მეფობს შიგ. საკმაოა ბაზრიდან გამოპარულმა გამოუცდელმა ღორმა, ბაღის და მთავარ ქუჩის მოჯადოებულ წრეში შემოვიდეს, რომ გრძელმა სტვენამ ერთი პოლიციელისა წამოახტუნოს მეორე, სიგრილეში შეფარებული. მეორე თავის მხრით სტვენას მექანიკურად სტვენით უპასუხებს. შემდეგ მესამე... გამოჩნდება მე-

ეზოვე და ყველანი ყვირილით და გინებით მიიტანენ ღორზე იერიშს, გასავალ გზებს შეუკრავენ და ფართეთ გაშლილ ხელებით დაედევნებიან დასაჭერად.

დამრგვალებულ ღორის ტანზე ძნელია ხელის მომაგრება, გაიმართება უშედეგო დევნა და გინება.

მაღაზიებიდან გამოვლენ ნოქრები, ნაცნობ და სასაცილო სანახაობით თვალის დასაპურებლად. დადგებიან დარაბების წინ, ზურგზე ხელ-დაკრეფილნი და გულიანად გადიხარხარებენ, როცა რომელიმე მოუხეშავ პოლიციელს საკუთარი ხმალი ან ღორი გაეჩხირება ფეხებში და გადააკოტრიალებს ქვაფენილზე.

გაჩნდებიან ხილის გამყიდველნი და ფეხის მწმენდელნი ბიჭები.

თუ რომელიმე მათგანს ახსოვს ღორის მდევარ პოლიციელის მუშტი,

ო, მხიარულების მოყვარულნო ლამაზო ნოქრებო, დაუსრულებელი იქნება მაშინ თქვენი ხარხარი.

ბიჭების მოხმარების ნაცვლად იმ მხრიდან შეუტევენ ღორს, საიდანაც არ არის საჭირო. დააფეთებენ, გაუხსნიან გზას და მისცემენ დროებით გაქცევის საშუალებას. ამ ხერხს იმეორებენ, სანამდე ღორი თავის ნებით არ დანებდება სიქა გავარდნილ პოლიციელებს.

მშვენიერი ქალაქია კობი.

. . . . . .

ოლდენბურგის ქუჩიდან ჩამოგრიალდა ეტლი. კოფოზე დოინჯშემოყრილი, მოკლე ბერდანკით ზის ბეკო. გულდასმით მისჩერებია მგზავრებს, რომლებიც ესალმებიან ბარნაბას, ბარნაბა პასუხობს მისალმებას, ხან მძიმედ, შეუმჩნევლად მოიხრება, ხან სასწრაფოდ აიძრობს ჭილობის ქუდს, გაიღიმებს და რამდენჯერმე შეარხევს შეევრცხლილ თავს, თუ საპატივსაცემო ნაცნობი შორსაა და ბარნაბას სიტყვიერი სალამის საშუალება არ აქვს, მაშინ რამდენჯერმე უკან მოიხედავს და ჭილობის ქუდს მაღლა შეათამაშებს. მისალმებებიდან ბეკო ხვდება შემდეგს; რამდენათაც ხანგრძლივია და რთული ბარნაბას სალამი, იმდენად დიდი კაცია შემხვედრი. ეტლი გაცდა ქალაქის ერთად ერთ ბაღს, სადაც ხშირად იმართება ბარნაბას თაოსნობით საქველმოქმედო ალეგრა—ლოტორიები და მიუახლოვდა გიმნაზიის ქუჩას.

1928 წელი
აპრილი

კალე ბოგბიხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აფხაზეთი

უწინ ძალღონეს მისთვის ხარჯავდით,
რომელს რგებოდა იორლა ცხენი;
დღეს, ჩაგიგიათ ბასრი ხანჯალი
ალმშენებლობით გული გაქვთ ცხელი.
სადაც ძმა ძმისთვის მახვილს მართავდა,
ეხლა შორეულ ერებსაც ინდობს,
სისხლის აღების დრო თუ გათავდა
ბზის დასაცავად შეღებავს მინდორს.
აფხაზეთის მთებს ნისლი ეხვია
და სიბნელეში ვიღაც ლაღობდა,
როცა ძლიერი ელვა-მეხივით
ტყიდან მოყავდა ჯარი ლაკობას.
ამ თავგანწირულ ბრძოლების შემდეგ
საგანთიადომ გადმოანათა,
მზე აღმოსავლის გორკაზე შედგა
და ამბოხების დროშა აღმართა.
ეხლა ნაპირთან გემი: „მერინგი"
სამოგზაუროდ იცდის ისევე;
კვამლით ჩაცმული შორი სადგური
მეზღვაურივით აღარ ისვენებს.
გონიერ თვალით ყველა შეამჩნევს
ეხლა ეს მხარე უფრო სხვა არი;
როს მკერდებს სისხლი არ შეშრობიათ
გმირულ შრომასაც არ აქვს საზღვარი.
— აშრობენ ჭაობს, გადის შარა გზა,
ისმის ყვირილი თამბაქოს ქარხნის;
და არმიელებს ვხედავ დარაზმულს,
— სადაც გამოყავთ ლეჩქოფის არხი.
ლამაზო მხარევ! მე აღარ მინდა
გეწვიო, როგორც მოაგარაკე;
„განსასვენებელს" ვეძებდე მინდორს
და მომითხრობდე—ზღაპრებს, არაკებს.
სამარცხვინოა მებრძოლ მგოსნისთვის
წყნარ ცხოვრებაზე გიწერდეს ეპოსს,
როცა გვარტყია მტერი მოსისხლე
საბჭოთა მხარის ძვირფასო ძმებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ამხანაგური

ამხანაგურად, თანშეზრდილი ვცხოვრობ მამასთან,..
რკინსგზელია... ამ დარგიდან ჰყავს მეგობრებიც...
ბევრს ვიცნობ მათში,.. მუშაობენ ფხიზლად, მამაცად,
რომ სიღარიბე შრომის ცეცხლით მოიგერიონ.
გითხრათ მართალი:—მიყვარს მათი უმრავლესობა,
კარგი ხალხია თავის სადა ყოფა-ცხოვრებით...
მეც მათთან დგომით შევიხორცე უბრალოება,
და გამარჯვების მტკიცე რწმენა, საღი განცდები.
საყვირის შემდეგ, როცა ყველა უკან ბრუნდება,
ვისვენებთ მშვიდათ... ვიწყებთ ბაასს ხვედრის გარშემო...
არის კამათი,.. ჩაკვირვება სიტყვის გუნდებთან,..
ვუშლით ასპარეზს შეცდომების ნაკლებ დაშვებას.
აქ უთქვამთ ჩემთვის:—„ჯერჯერობით სასურველია;
ხარ ჩვენი ფერად სიავ-კარგის გამომსახველი,..
მაგრამ ვინ იცის საბოლოო წერტილს რით დასვამ,
იქნებ სრულიად (სამწუხაროდ) გადასხვაფერდე.
გვინახავს ამის მაგალითი:—ჩვენგან წასულან,
ჩაუკეტიათ ზეკაცივით მაღლა სართული,
და საიდუმლო კაბინეტურ უწესოებით
ყოფილან დახშულ ოცნებაში დიდად გართულნი.
ვფიქრობთ, მოგველის ამ მხრივ ეხლაც საშიშროება,
აქ კონტროლის ქვეშ ფაქტებია გამოსარკვევი;
ახალგაზრდობა ვინც ცოდნისკენ მიეშურება
არ დარჩეს განზე, შეზღუდული ვიწრო რკალებით.“—
აზრი ცხადია,.. და მეც ვიღებ იმათ შენიშვნას.
ვამბობ:—დე მოვკვდე, თუ გავიდე რიგის გარეშე...
ბრძოლით გამთბარ სისხლის ძარღვებიდან რა ამოაშრობს,
სანამ სიცოცხლს მხურვალებით ვარ დაგეშილი.
გული წრფელია... სნეულება ვერ დამიუფლებს,..
მახლავს თავიდან ამის მტკიცე შესაძლებლობა...
ყოველ ნათქვამზე ვარ პირადათ პასუხისმგებელი
მეტყველებიდან დაწყებული ჩონჩხის ძვლებამდე.
კერძო ზრახვები უარვყავი დიდიხანია,
ამ ნიადაგით მოღალატე სატრფოც დავტოვე...

ჩემი სიტყვები მოქმედების სიხარულია...
ეს არ გეგონოთ მოტყვილება ან და ტრაბახი.
„დიდ-კაცურ“ პოზას მძულვარებით ვკიცხავ, ვაძაგებ,
ვიცი გარემო რომ არ არის ცირკში გართობა...
მივსცეთ ერთმანეთს ტანაწეულ თავის სიმძლავრე
და სარბიელი ამხანაგურ ურთიერთობას.
ვარ და ვიქნები მონაწილე გამსჯელ ოჯახის,
ყველგან—ყოველთვის პატიოსან მშრომელს ვადიდებ,..
გინდ იყოს იგი ინჟენერი, გინდ მეჯინიბე,
ჩემთვის ერთია, საჭირო და ფასდაუდები.

ს. ჯავშანიძე

პირველი ტრაქტორი *)

თავი მესამე

— ვინ იფიქრებდა ან ვინ წარმოიდგენდა თუ ბოლშევიკები გაიმარჯვებდენ:—ფერხულიძის ჭიშკართან წარმოსთქვა თაყამ.

— რომ ველარ გავიგეთ, რომელია კაი!—უპასუხა მექიმ.

— მაგენს კი არ აქვს დიდი დღე, მაგრამ ეს ხალხი, რომ იტანჯება იგი სთქვი შენ?

აღსდგება ტანჯული საქართველო არაფერია!—ისევ დაუმატა თაყამ.

— ღმერთმა გისმინოს!—დაემოწმა მექი.

— აბა ასთე მექი ჩემო!. ღამემშვიდობის.—უკანასკნელად წაილულლულა თაყამ და ფეხი გადაალაჯა ჭიშკარზე.

△

თაყა მარგველაძე ის აღარ არის რაც წინეთ იყო.

მას ქონება გამოაცალა ოქტომბრის რევოლიუციის ტალღამ.

თაყას სასიმინდეები აღარ ივსება ღალაში აღებულ ჭირნახულით.

ჭურებში აღარ ისხმევა სხვისი ოფლით მოწურული ღვინო და დარბაზში არ ისმის ჟამიერი. თაყას სავაჭრო დუქანს გამოეცალა პატრონი. მარგველაძის გვარის ადგილზე მიწერილია: „მომხმარებელი კოოპერატივი“.

*) დასაწყისი იხილ. „პროლ. მწერ.“ № 5—6.

დახლში ლურჯხალათიანი ნოქარი ტრიალებს და მეტრით უზომავს გლეხებს არჩეულ ფართალს.

△

— აპა! ჯერჯერობით ეს იკმარე!.. მეტი ვერ შევკრიბე... ყოჩაღათ იყავი? მაგენს არ აქვს დიდი დღე საქართველოში!.. მთელი თავად-აზნაურობა ფეხზეა!..

— გაისმა თაყას ჩახლეჩილი ხმა ეზოს უკანა ღობესთან, სიბნელეში.

— რაც გაგივიდეს ეცადე!.. საჭიროა ფულები? სხვა ყველაფერი რიგზეა!..—უპასუხა ჩუმი ხმით იონამ ღობის მეორე მხრიდგან.

— შენ დარდი ნუ გექნება! პერანგს გავყიდი ოღონდ გვეშველოს!.—ამით გათავდა თაყა და იონას ფარული შეხვედრა.

ღამის წყვდიადში მიიმალა ტყეთ გაჭრილი ფერხულიძე.

△

კვირა საღამოა.

მზის სხივები მიწიდგან აცვენილები დამტვრეულ ღრუბლებში ჰქრებოდნენ. ახალგაზრდები მწვანე მინდორზე ცაცხვის ძირას ერთობიან. ვერ ძღება მათი თვალი სიხალისით.

დედაკაცები სხედან ძუძუმწოვარა ბავშებით გზაბოძალზე და საუბრობენ.

მამაკაცები ქოხსამკითხველოს შენობასთან ერთ ახალგაზრდას უსმენენ, რომელიც გაზ. „ახალი სოფელი"-ს კითხულობს მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ.

სოფლის დუქნებთან რამოდენიმე წითელარმიელები. შეჩერდნენ.

ნამგზავრი მტვერი დაბერტყეს და ოფლი გაიმშრალეს.

მათ ნაცნობ-ნათესავები შემოეხვიენ, გაიმართა მხიარული მისალმებანი.

ესენი ამ სოფლის შვილები, იყვნენ მსახურობდენ წითელარმიაში და ახლა ისევ შინ დაბრუნდენ.

— უი! ედიშერი შენ შემოგევლოს შვილო დედაშენი!—უეცრივ წამოიძახა ალათიმ და ცალი ჩუსტით გაექანა ჭიშკრისაკენ.

ჩემი გარუჯული ბიჭი!.—შესძახა და ჩამოეკიდა კისერზე. დიდხანს გაგრძელდა დედის ალერსი მკერდში ჩაკრულ შვილთან.

— ატირდი ახლა ხო!—წყრომით მიმართა მექიმ მეუღლეს და გადაეხვია ედიშერს.

1986

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ აღარ წახვალ დედა აწი?—შეეკითხა აღათი და სიხარულით გამოწვეული ცრემლები თავსაფრის ნასკვზე მორჩენილ ყურებით დაიმშრალა.

— ო! შენ შემოგევლოს დედაშენი! ჩემი ტონტორეი ბიჭი. მიუახლოვდენ ოდასთან ბჟოლას.

— აგერ დედა, აგერ დაბრძანდი!—დერეფანიდგან გადმოსძახა აღათიმ, რომელიც სკამს მოარბენინებდა. მაგრამ ედიშერმა მოასწრო და იქვე ფიცრულ სკამზე ჩამოჯდა. ჩანთა მოიძრო, საყელო გაისხნა და პაპიროსი ამოიღო.

მშობლების თვალები ვერ სცილდებოდა დავაჟკაცებულ ედიშერის ტანს.

სცდილობდენ დაენახათ შვილის ყოველი მოძრაობა. რა ზნე შეინარჩუნა, რა შეიძინა, როგორი კაცი ჩამოყალიბდა..

პირველ სანახაობად აღათიმ ცნობის მოყვარე თვალები თამბაქოს ბოლში აურია.

მოეწონა მას ედიშერის ტუჩებზე ბოლი, მაგრამ გულმა იწყინა ცეცხლში დამწვარი ხარჯი.

— ბიჭო გაკომუნისტდი, გაგიწყრა შვილო ღმერთი?. —ღიმილით უწყინარი ხმით შეეკითხა აღათიმ, როცა გულზე დაუნახა რაღაც მისთვის გაუგებარი ნიშანი.

— მერე რა? თქვენ იქნებ სასირცხოდ მიგაჩნიათ კომუნისტობა! —გაისმა ედიშერის პასუხი.

— ბიჭო შენ საყვარელ ძმას რა პირით ხვდები? ღიმილით დაუმატა აღათიმ, რომელსაც ედიშერის მხარზე ხელი ჩამოედო, წელში მოღუნული, თვალებში, ჩააცქერდა.

ცდილობდა არ გაეჯავრებია სტუმარი შვილი. ყოველ შეკითხვას ღიმილით და ალერსით აძლევდა.

— ეხ!. როდის შეიგნებს საბოლოოთ მშრომელი გლეხობა, რომ ნამდვილ კერას მიაგნოს და ერთსულოვანობით განაგრძოს გზა სოციალიზმის მშენებლობისაკენ..—ამაყად წარმოსთქვა ედიშერმა და გადაგდებული პაპიროსი ჩექმის წვერით გასრისა.

— ჩემი ძმა მშრომელი გლეხობის მოღალატეა.

— დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ ედიშერმა.

— უი! ჩემი სიკვდილი ახლა ქიარ გადაურჯულებიათ იმ დაწყევლილებს!. მკვახე ხუმარა ტონით წამოიძახა აღათიმ.

აბა, რა საერთო გვაქვს ჩვენ მარგველაძეებთან და სხვა მისთანა კულაკებთან, რომლებიც ერთ დროს ჩვენს ნაშრომზე ფარფაშებდნენ!—საქმიანი ხმით წარმოსთქვა ედიშერმა.

ღვიძლი ძმები ხართ შვილო ერთ კალთაში და ერთ ძუძუზე გაზრდილები. იყავით სიამტკბილათ! ერთმანეთის დამჯერე, კი, დეეტევით ამ ქვეყანაზე!—გააგრძელა ლაპარაკი ალათიმ.

— ქალო! ვახშამს ალარ ფიქრობ?.—საუბარი გადაუჭრა მექიმ ალათის, რომელიც ფიქრებში გართული იჯდა იქვე. ალათი შემოტრიალდა პატარა გოგოსავით გაიქცა სამზარეულისაკენ დაანთო ცეცხლი და ქვაბი შემოკიდა. ხეზე დაბუდული ქათამი ჩამოიყვანა და ქვასანაყზე ლესვა დაუწყო დანას. საღამო ხანს ედიშერის მოსვლის გამო, ეზოში მოგროვდენ მეზობელი დედაკაცები, გაიმართა მხიარული სიცილ-ხარხარი და საუბარი.

ჯერ იმ ბიჭის ჯავრი მკლავს, რომ ისთე ტყეთ მყავს!. ახლა ამის დარდიც მომემატა. ოი დაიქცა ჩემი გაჩენის საათი ბარელამ!.—მწუხაროებით წარმოსთქვა ალათიმ, რომელიც გაპუტულ ქათამს გულ-ღვიძლს აცლიდა და დალრეჭილ კატას ულუფა გადაუგდო.

— ერთი თუ და ხარ მაგერ ჩაფში წყალი ჩამომისხი!.—უთხრა მეზობელ ქალს, რომელიც მიხმარების მიზნით ფუსფუსობდა სამზარეულოში.

— შერიგდებიან ან რაცხას მოაწყობენ ასთე რავა იქნება, ბეჩა ალათი მიდღემჩი.—უთხრა მეზობელმა ალათის და გობზე დაუხსა წყალი.

— იხაროს შენმა ქმარშვილმა!.—სთქვა ალათიმ. იმ ღამეს ვახშმად ჩამორჩა ახლობელი მეზობელ-ნათესავნი და მეორე მამლის ყივილამდის სჩანდა სინათლე ფანჯრებიდან და ფერხულიძის ოჯახში ისმოდა მხიარული სიმღერა.

△

— ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას!.

უნდა ძირიან-ფესვიანად აღმოვფვხრად ძველი. რაც ჩვენთვის მიუღებელია და უსარგებლოა!.

— ამბობდა ედიშერი, რომელიც ლენინის სურათს აკრავდა კედელზე და პირში ლურსმნები ეჭირა.

— მაგი ვინ არის დედა?—იკითხა ალათიმ და სურათს დააცქერდა.

— ვერ იცანი! ამას ორი წლის ბავშიც კი იცნობს შე ქალო.—უკან მოუხედავათ სთქვა ედიშერმა.

— თვალს ალარ მიჭრის შვილო, დავბერდი.

— ეს ლენინის სურათია,—უთხრა ედიშერმა და სურათს დაუწყო თვალით სწორება.

— ჟორდანია აღარ.გინდათ დედა!.

— ჟორდანია ჩაბარდა დედი ისტორიას!.

— რატომ დედა იგიც ყოფილიყო!. იმასაც კაი უნდოდა ჩვენი საქართველოსთვისა მგონი?

— ახლა შენ დედი ხელი უნდა აიღო მენშევიკობის დედობაზე და ამიერიდან უნდა გახდე კომუნისტის დედა!. გესმის!.— საქმიანი კილოთი უთხრა აღათის ედიშერმა.

— ორივეს დედა ვიქნები შვილო!.—შეუდრეკელი რწმენით სთქვა აღათიმ და მწარეთ ამოიხვნეშა.

— არა! ჩვენი ოჯახი ჭრელი არ იქნება უნდა იქნეს წითელი!.

— მაგი ვიღაა შვილო? ვაი რავა სუნთლათ მისუსტა თვალებმა.—კითხვას დაუმატა აღათიმ.

— ეს ოცდა ექვსი კომუნისტების დახერეტაა ბაქოში. აბა შეხედე, როგორ ხვრეტენ შენი მენშევიკების ძმა-ბიჭები მშრომელი ხალხისათვის თავდადებულებს!.—უთხრა ედიშერმა, მას ხუმრობით ხელი წამოავლო და ტახტზე შესვა.

— არ ვიცი შვილო, არა მე თქვენი პარტიების ვერა გამიგია რა!. ტახტიდგან ჩამოსვლისას ჩამოილაპარაკა აღათიმ.

— უიმე გადირიე ბიჭო!! არა დედა! არა შვილო! მაგას ნუ იზამ შვილო!. ცივი ხმით წამოიძახა აღათიმ, როცა დაინახა ხატთან ედიშერი

ედიშერმა მოხსნა კუთხეში მიკიდული ხატის მორთულობა.

— სუ.... ჩუ... სუყველას დაგვიჭერენ დედი!—წაიხუმრა ედიშერმა და მკლავები გაინთავისუფლა დედის უძლურ კლანჭებიდგან.

— აბა ვერ მოგართვეს! დაგვიჭერენ კი არა ყველა ეკლესიებს ხსნიან!

— ხო! შენც ეს წაიღე და სახსოვრად მამაოს გულზე მიასვენე! მორჩა გათავდა. აბა შეხედე, რომ არ შვენის ლენინის გვერდში ხატი და ჯვარი?.

— ბიჭო მღვდელი სახლს აღარ მიკურთხებს. რას მიშობი შე გადარეულო!

— ხო მღვდელი ამ სახლს ისედაც ველარ აკურთხებს! მორჩა მაგ ამბავი!.

— აბა აიდა მარშ! შენი ხატიანათ!

— ღმერთო ნუ უწყენ შენი სახელის ჭირიმე ბრიყვია აპატიე, შენი მუხლკალთის ჭირიმე.

— პირჯვრის წერით წაიჩურჩულა აღათიმ და გულზე მიყრდნობილი ხატი გაიტანა სამზარეულოში.

ედიშერმა ოჯახში არ გაუშვა დაუწვავი თუ რამე იყო იონას გადანახული წიგნები აბრეშუმის ჭიისათვის შენახული გაზეთი „ერთობაც“ კი დაუწვა ალათის.

მორთო სახლი ახალ ყაიდაზე.

— ამხანაგებო! გლეხებო და წითელარმიელებო!—დაიჭექა მხედრული ხმით ედიშერმა.

ვინ არის ეს ახალგაზრდა?—გაჩდა გლეხებში ჩურჩული.

— ფერხულიძეა! იონას ძმა—მოყვა კითხვას პასუხად.

— ბიჭოს! კომუნისტია ხედავ კაცო?!.—

— დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზანი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, დაიწყო ისევ ფერხულიძემ.

— დღეს თავისუფალმა გლეხმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს მეურნეობის გეგმიან წარმოებას,

დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც ალბათ თქვენ გაიგონებდით სიტყვა კოლექტივიზაციას. ამაშია ამხანაგებო ჩვენი ერთად ერთი ხსნა და გამარჯვება!

კოლექტიურ მეურნეობის ზრდა-განვითარება ჩვენ მოგვცემს საშვალებას მივაღწიოთ იმ კეთილდღეობას, რომლისათვისაც იბრძვის ჩვენი პარტია მუშებთან და გლეხებთან ერთად!

ტრაქტორი არის მანქანა თქვენი მოძმე მუშების ხელით გამოჭედილი, რომელიც გლეხს იხსნის უწესრიგო და აუტანელ შრომისაგან.

ტრაქტორი მოგვცემს ჩვენ საშვალებას კულტურულ განვითარებისას!

ტრაქტორი ჩაყლაპავს თქვენი დაუსვენარ შრომის დიდ სიმძიმეს!

გაუმარჯოს კოლექტივიზაციას!!

გაუმარჯოს ტრაქტორს გაერთიანებულ მიწებზე! გაუმარჯოს საბჭოთა მშენებლობას!—დაასრულა სიტყვა ედიშერმა. იგრიალა განუწყვეტელ ტაშმა.

— ახლა ამხანაგებო თქვენ ამავე საკითხზე გესაუბრებათ მთავრობის გამოგზავნილი ამხანაგი.—ამის შემდეგ ტრიბუნა დასცალა ედიშერმა. მიტინგზე გამოვიდენ სიტყვებით დანარჩენი წითელარმიელები და ადგილობრივი პარტიული ამხანაგები.

კრება დაიშალა, ქუჩებში სიბნელე ჩამოწვა. შინ მიმავალი გლეხები კრებაზე მოსმენილ სიტყვებს იმეორებდენ და თითეულ საკითხს ბეჯითად სინჯავდენ.

△

მეორე დღეს კოლექტივში შესვლის მსურველი გლეხები შეიკრიბენ დანიშნულ ადგილას. კრებას თავმჯდომარეობდა ედიშერი.

ილაპარაკეს მიმდინარე საკითხებზე და შემდეგ აირჩიეს გამგეობა.

კოლექტივს სახელად უწოდეს „ჩვენი ხსნა“ ძლიერია კოლექტივი მტერთან და მოყვარესთან! ვინ გაბედავს დღეის შემდეგ, რომელიმე წევრის ოჯახს მტრობა გაუწიოს! მას კოლექტივი გასცემს პასუხს.

ასეთი იყო იმ წუთებში თითეული გლეხის ფიქრები იმ ქოხში სადაც ხელი მოაწერეს კოლექტივზე.

უსურვოთ ჩვენს კოლექტივს ენერგიული მუშაობა და ძმური ავშირი სიკვდილ სიცოცხლით!

ყოფილიყოს ჩვენი საქმე მაგალითის მიმცემი მეზობელ გლეხებისათვის, რომ მშრომელ გლეხობას ამით მოენახოს მისი ხსნა!— დაამთავრა ედიშერმა. გაისმა ტაში.

— გადღენგრძელოს გამჩენმა?

— იხაროს შენმა მშობლებმა!

— იძლიეროს შენმა მარჯვენმა!—

ასეთ ლოცვა კურთხევას აყრიდენ ამ დიდი საქმის მეთაურ ედიშერს—ის ულარიბესი გლეხები რომლებიც გააერთიანა ედიშერმა და ჩააბა კოლექტიურ მეურნეობის საქმეში.

კრება დაიშალა. თითეულ გლეხმა თან წაიღო ახალ საქმეზე ფიქრი და თავის ოჯახს გაუზიარა.

△

წესდება დაუმტკიცეს კოლექტივს.

სამომხმარებლო კოოპერატივმა მათ სესხი გაუხსნა. მისცა სამეურნეო იარაღები და ცენტრს დაუკვეთა ტრაქტორი.

კოლექტივის მეორე კრებაზე წითელი დროშა ააფრიალეს წარწერით: „გაუმარჯოს „ჩვენი ხსნას“.

„გაუმარჯოს კოლექტივიზაციას!“

„გაუმარჯოს კოლექტიურ მეურნეობას!..“

„გაუმარჯოს საბჭოთა მშენებლობას!..“

კრების შემდეგ გადავიდენ ქუჩაზე და სიმღერით გაემართენ თაყას ყოფილ მიწებისაკენ, რომელიც ახლა მათ განკარგულებაში იყო.

დროშა ყანის შვაგულში დაასვეს და ვაშას ძახილით დაიწყეს გამიჯნულ გორების რღვევა, ასჭრეს ეკლიანი ღობეები და ტრაქტორს გაუმზადეს გაშლილი არე.

საღამოს ბებერ მუხის ძირში შეიკრიბენ და ლაღუმით ააფეთქეს თაყას მამა-პაპეული მიწის საზღვარის ხავსიანი ქვა.

△

— შვილო სადილი სადილობის დროს უნდა და ვახშამი ვახშმობის დროს! შენ თუ მოკვდები და გადაყვები საქმეს ქვა ქვაზე დასდულებია!—მოსვლის ცანავე მიახალა აღათიმ ედიშერს.

— დედი! შენ ერთი ის მითხარი ის ძროხა ვისია?— ფანჯარიდგან თითით უჩვენა ეზოში დაბმულ ძროხაზე ედიშერმა.

— ვისი იქნება შვილო!—მიიღო კითხვამ პასუხი.

— ხო ვისია, ჩვენია?—გულმოსული სახე აჩვენა ედიშერმა დედას.

შვილის გამწყრალ თვალებს ველარ დაემალა აღათი და სახე შეჭმუხნა.

— ვინ გითხრა იმ ენა გასაციებელმა! მერე რა შვილო თაყა არ იყო ცუდი კაცი ახლა სულის მეტი აღარაფერი შეარჩინეს იმ უბედურს; ეს ძროხა ჩვენსას გადმოაბალახა იქნება გადამირჩესო!

— არ გახსოვს შვილო როგორ მეფურად ცხოვრობდა!

— ხო როგორ არა, მე ისიც მახსოვს ზურგზე მათრახები მისი წყალობით! ღმერთს მადლობა შესწიროს, რომ ცოცხალი დარჩენილა; ჩარჩი, მამაძაღლი კიდევ რეებს ბედავს უყურე!

ედიშერმა აღელვებული ხმა შეაჩერა ცოტახანს ფიქრებს მიეცა შემდეგ დედას მიუბრუნდა და ჩვეულებრივად შეეკითხა:

— მე ვიცი რომ ამ სოფელშია იონა! რად გინდა სიტყვის გადახვევ-გადმოხვევა!—ედიშერმა იცოდა იონას მოქმედება და უნდოდა გამოენახა ისეთი საშვალება, რომ სახიფათო როლი ძმის წინაშე მას აეცდინა.

აღათის ცრემლები მოერია.

— მე ვიცი დედი, რომ იგი არალეგალურ მუშაობას განაგრძობს ჩვენს წინააღმდეგ! აღათიმ არაფერი უთხრა. ჩვენ ალბათ სადმე შევხვდებით ერთმანეთს—გაიფიქრა ედიშერმა და ცოტა ხანს ტახტზე მიეძინა.

აღათი თვალცრემლიანი სამზარეულოში შევიდა, ხელსახოცში ფრთხილად საუზმე შეახვია, თავშალი შემოიხვია და უკან ღობეზე გადავიდა.

ტყის ბოლოზე ერთ ხესთან შეჩერდა, ხელსახოცში შეხვეული ფოლროიან ხეში შედვა და გამობრუნდა.

ეს იყო ტყეთ გავარდნილ შვილის ვახშამი.

△

— დედი სად არის მამაჩემი?—იკითხა ახალ მოსულმა ედიშერმა.

— გადაღმა გადავიდა შვილო! რად გინდა დედა?

— საქმე მაქვს.—ედიშერს სახეზე რაღაც წუხილი ეტყობოდა.

— დედი აქ მოდი! ტახტისკენ მიიწვია აღათი ედიშერმა და წელზე ხელი მოხვია.

— რა იყო შვილო რა გაწუხებს?—აღათიმ იგრძნო რაღაც უსიამოვნობა და ჭირის გამძლე გულით უჩვევ საშინელებას ელოდა.

— დედი შენ ხომ იცი სად არის იონა? ხომ ნახულობ?—ნელი და მოფერებული ხმით ჰკითხა ედიშერმა.

— რად გინდა შვილო, საცა არის ის საცოდავი!—უბედურ დღეზე გაჩენილი—აღათის ტუჩები აუთამაშდა და ცრემლები მოთმინების ალმა შეაჩერა.

დედის სიტყვებმა ედიშერს ძარღვებში წიწკნა დაუწყო და ცრემლის მოლოდინმა ცხვირის წვერი აუწვა.

ცრემლს ხომ ვერ იგუებდა მისი სახე!

იატაკზე გაიარა და მოვარდნილ ფიქრებს თამბაქოს ბოლით დაუწყო შერბილება

სწრაფად შემობრუნდა დედას მხარზე ხელი დაადო და უთხრა.

— დედი უთხარ იონას მოშორდეს ამ სოფელს!

— ბიჭო ერთ ძუძუზე გაზრდილები ხართ! ერთი მუცლიდან შობილი! ნუ უმტრობთ ერთმანეთს შეინახეთ ძმური სიყვარული!—რაღაც ცივად წარმოსთქვა აღათიმ.

— შენ რასაც გეუბნები დაიჯერე! არ მინდა შევხვდე გესმის!—მტკიცედ სთქვა ედიშერმა.

— ბიჭო ქვეყანა დიდია! შვილო ორივე დაეტევით!—მშობლიურ გრძნობამ მოერია მოხუც აღათის და თვალებიდან ცრემლი გადმოღვარა.

— აბა ტირილი არ იყოს! სატირალი არაფერი გაქვს—ამ სიტყვების შემდეგ ედიშერი ტახტზე დაჯდა თავი ჩაჰკიდა და სოფლის ჭირვარამს თვალებ დახუჭული ფიქრებით დაუწყო სწორება.

აღათიმ სამზარეულოში მოიძღო გული შვილზე ტირილით.

△

— მთელი ნასწავლი ხალხი უკმაყოფილოა და გლეხებს რა გაეგება ბოლშევიკ-მენშევიკობის; — ასეთ საუბრით მიადგენ ჭისკარს თაყა და მექი.

— რომ ველარ მორიგდენ ერთმანეთში ერთი გზის ხალხი თვარა დაწყნარდებოდა ქვეყანა — უპასუხა მექიმ თაყას და შეალო ჭისკარი.

აღათის არ ესიამოვნა თაყას დანახვა. ოთახში შეირბინა წაძინებულ ედიშერს პალტო წაახურა და კარი ფრთხილად გამოიხურა.

— საღამო მშვიდობის ბატონო აღათი! — შესძახა თაყამ და მიუახლოვდა ბჟოლას.

— იცოცხლე ჩემო ბატონო! — ცოტა დაგვიანებით უპასუხა აღათიმ რადგან დერეფანზე მძინავ ედიშერის მოერიდა.

— აგერ, აგერ შინაურულად ნუ სწუხდები. — მიაძახა თაყამ და ჩამოჯდა დაჭედილ სკამზე.

აღათის გული უძგეროდა თაყას თითეულ ხმის ამოღებაზე, რომ არ გამოღვიძებოდა ედიშერს და ისე წაშავებულიყო ეს სახიფათო სტუმარი.

— კაცო მოდი ერთი აქეთ! — მექი გაიხმო სამზარეულოსკენ აღათიმ.

— ძალიანი უკაცრავად კი ვარ ჩემო ბატონო, ახლავე გიახლებათ! — ბოდიშით მიმართა მარტოთ დარჩენილ თაყას აღათიმ.

— კაცო სად მიწაში წევიდეთ და რა შავი ქვა მოვახერხოთ ამ ბიჭის, რომ გაუგია ყოლაფერი! ვინცხა ენა გასახმობს ყოლაფერი უთქვია! ი, ძროხა ვისიაო მკითხა და მითხრა! ი, ბიჭი ამ სოფელშიაო და იმალებაო! რომ გამოეღვინძოს გადაღმა ვერ გადაასწრებს მა შავდღეზე გაჩენილი! — დაიწყო აღელვებულ აღათიმ მექისთან და მოხუცი ცოლ-ქმარი შეებენ საიდუმლო საუბარს.

— ვინ არ მომიშინაურებია:

— ვისი გული არ მომინადირებია!

— რომელი მთავრობის კაცი არ ჩამითრევია პურმარილში!

— ეხლახან არ იყო ჩემ გასროლილ ბადეში, რომ მოვამწყვდიე აღმასკომის თავმჯდომარე და ვაზიარე შინაურ პურღვინით!

— ნუთუ ჩემ ხელში გამოჭყლეტილ ბალღს ვერ მოუგრიხო კისერი და არ გავაწყო მამა-შვილური კავშირი! — ამას ფიქრობდა მარტოთ დარჩენილი თაყა ბჟოლის ძირში.

ეს იყო თაყას გამოსეირნების მიზეზი ამ საღამოს.

იმ ხანებში სოფელში ხმები დადიოდა, თითქოს თაყამ ვიღაც ლარიბი გლეხის სახელით გაიტანა სასოფლო სამეურნეო სესხი.

თაყამ სადღაც გამოაჩინა ძველი გადანახული სამეურნეო იარაღები და მამა-შვილურ მოკრძალებით დაუწყო გაქირავება. თაყამ ამოიყარა ძველი ხავსიან ფესვებზე. თაყა უახლოვდება ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყალბ ყადღეგრძელოებს სვამს მთავრობის სასარგებლოდ.

მაგრამ თაყას დღეს გაუჩნდა ახალი მოურეველი მტერი.

ეს იყო სხვა წითელარმიელებ შორის ედიშერი, რომელთანაც დამეგობრება განიზრახა.

მიუახლოვდა თუ არა მექი თაყას იმ გადაწყვეტილებით რომ გაეწვია ეზოდან, ედიშერი ზეზე წამოდგა.

კარებში გასვლამდის ოთახში მექიმ ველარ მოასწრო მოსარიდებელ სტუმრის გადაყვანა. ედიშერი ერთი ფეხის დაკვრით დერეფანში გამოვარდა.

მაგრამ სიმკაცრე უადგილოთ დაინახა უხერხულობის ასაცილებლათ ტუჩზე დოქი მოიყუდა.

თაყას ედიშერის შეხედვაზე რაღაც ცხელი ქარი მოხვდა. მაგრამ დოქის დანახვამ, გული გაუგრილა.

აღათი ედიშერს მივარდა, დოქი გამოართვა უნდოდა პირის დასაბანათ ოთახში შეეყვანა და ამით აეცილებია თაყასთან მისი შეხვედრა, მაგრამ არც ამ საშვალებამ გასჭრა ედიშერმა მოიჯარზე დაიწყო პირის ბანა.

— ედიშერს გაუმარჯოს ედიშერს!—გაბედულათ კილოთი შემოძახა თაყამ.

— წადი შენი დედ...—წყალის პირზე შეშხაპუნებისას წაილაპარაკა ედიშერმა.

თაყას მოეწონა ედიშერის შეხვედრა.

ეს პირველი—ვნახოთ შემდეგი!—გაიფიქრა თაყამ.

აღათის გული უცემდა.

აღათი იმაზე წუხდა რომ თაყას გაჯავრება გამოიწვევდა იონასთან კავშირის გაწყეტას.

ამით იონა დარჩებოდა ტყეთ ულუკმოპუროთ, ამიტომ სცდილობდა, როგორმე ხიფათი აეცდინა შვილისათვის ედიშერის და თაყას მეგობრული შეხვედრით.

ედიშერმა თმა გადივარცხნა და ხალათის საყელოს შებნევით ბჟოლას მიუახლოვდა.

ის იყო თაყამ წამოიწია ხელის ჩამოსართმევად რომ ედიშერმა ორივე ხელები სკამის ზურგზე დააბჯინა.

— როგორ არის ყმაწვილო ქვეყნის საქმე!—გაბედულათ შეეკითხა თაყა ედიშერს.

აღათი თვალებით ანიშნებდა შვიღს არაფერი ეწყენინებია.

— ისეა როგორც შენ გსურს!—მიუგო თაყამ დაცინვით პასუხი.

— ეხ! შვილო თქვენშია ახლა სიცოცხლე და ძალა! ჩვენ რაღა გვეკითხება ბებრებს!—ისევ გააგრძელა საუბარი თაყამ ედიშერის გულის მოსაგებათ.

— ის ძროხა აქ მოიყვანე!—ბრძანების კილოთი უთხრა ედიშერმა აღათის.

თაყამ მიხვდა ეს რაცას ნიშნავდა და სათვალეები ჩამოიცილა და წასასვლელად მოემზადა.

აღათიმ ძროხა დიდი ვაივაგლახით მოათრია და თოკი ხელგაწვდილ ედიშერს გადასცა.

— აბა აიდა მარშ აქედგან! შე ქვეყნის მყვლეფელო!..—დაიღრიალა ედიშერმა და გადასცა თოკი ფერწასულ თაყას.

— ხვალვე სესხი იყოს დაფარული თორემ შენი ხრიკები...

ასეთი მეხი ჯერ არ დასცემია თაყას თავს.

მთელი ქონება ჩამოართვეს და ასეთი შეურაცყოფას კი პირველად გრძნობდა.

— იჩი... იჩი... შენ დაგაძღა მგელი გვერდებზე.

— უძახდა აღათი და გამხდარ ძროხას თეძოს ძვლებზე სცემდა რაც ხელში მოყვებოდა.

როგორც იყო ძროხა ეზოდან გადაიყვანეს.

— უი შენ გაგიარა წელკავმა არ გამაძაღლა ქალი?—ილანძღებოდა აღათი და თოხით იღებდა ეზოში ფუნას.

აღათი წუხდა, დღეს სამუდამოდ ჩატყდა ხიდი ფერხულიძეებისა, და თაყა მარგველაძის შორის.

სოფელში სავაჭრო დღეთ მიჩნეული იყო პარასკევობა.

გლეხები სხვა და სხვა სოფლებიდან შემოდიოდენ სავაჭროთ. მოქონდათ გასაყიდი და მიქონდათ ნაყიდები: საპონი, ლილა, ნავთი, მარილი. მიქონდათ ურმის ფრჩხილებზე ჩამოცმული კიდეებ შემოჭმული პურები.

კოპერატივი სავსე იყო გლეხებით.

ნოქარი ზომავდა არჩეულ ფართალს.

ვაჭრობდენ კერძო ვაჭრებიც, მაგრამ უხალისოთ და უფერულათ, ბაზარში რაღაც უჩვეულო ხმა მოისმა.

ხალხი გაოცდა, ცისკენ დაიწყეს ცქერა.

— აეროპლანია!..

— არა სხვა რაღაც არის!—ისმოდა ხალხში ხმები.

კოოპერატივში შეირბინა ერთმა გლეხმა და სულმოუთქმელი დაიძახა—მოაქვთ! მოდიან!

— რა მოაქვთ!—კითხულობდენ ხალხში.

— ტრაქტორი მოაქვთ კოლექტივისათვის!—ჩითის ჭრაში თავაუწეველად ჩაილაპარაკა ნიქარმა.

— ტრაქტორი?!—გაისმა შერეული ხმები და კოოპერატივი დაიცალა.

კოოპერატივის წინ კოლექტივის მონაწილე გლეხებმა გამოიტანა დროშა და შესახვედრათ გაემგზავრნენ. სოფლის დიდ შარა-გზაზე მოგუგუნებდა ტრაქტორი, ჭისკრებს და ღობეებს აწყდებოდა დედაკაცები. სოფლის ბიჭ-გოგონები გროვათ მოსდევდენ უკან. ძაღლები ყეფით იკლებდენ ყველაფერს.

ტრაქტორის გვერდით სდგას ედიშერი და ამაყად იცქირება.

ტრაქტორი აღწევს ბაზრის შესავალს უკან მისდევს გლეხები, რომლებიც ტრაქტორს შეეგებენ დროშით. ეხლა ეს დროშა ედიშერს უჭირავს. ისმის განუწყვეტელი ვაშას ძახილი.

ტრაქტორი დაიძრა, მიდის ბაზრის გულისაკენ. ხალხი თანდათანობით ემატება.

მეხანიკმა მანქანა დააყენა ედიშერის ნაჩვენებ ადგილზე.

გლეხები მანქანას უსინჯავდენ მიწასთან საბრძოლელ იარაღებს.

— ამხანაგებო! დაიჭექა თამამი ხმით ედიშერმა და მის გვერდით მდგომ გლეხმა დროშა უფრო მაღლა ასწია.

— დღეს პირველად უნდა იგრძნოს გლეხმა, რომ ჩვენი ხსნა კოლექტივში და ტრაქტორშია!

— დღეს პირველად უნდა გაიაღენთოს გლეხის ძარღვებში, რომ შეერთებულ ძალებათ გაერთიანებულ მიწებზე აი ამ მანქანის საშუალებით შევსძლებთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას!

აქ არის ჩვენი ხსნა და აქ უნდა ვეძებოთ შველა!—ლაპარაკობდა ედიშერი.

სავაჭროები დაიცალა ხალხით.

— ამ გზით ამ საშვალებით გლეხი მიაღწევს იმ სიმაღლეზე, რომ მასაც ექნება საშვალება ხმა აღიმაღლოს კულტურულ ფრონტზე და იზრუნვოს მის კეთილდღეობისათვის!

— გაუმარჯოს კოლექტივიზაციას!

— გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას!

— დაამთავრა სიტყვა ედიშერმა.

ისმის ტაში და ვაშას ძახილი.

კრების ცოტა მოშორებით მისებურ ხალხში.

— აქ ოქტომბრისტები ახალ ქვეყანას აშენებენ!

თავისუფალი დაყოფილია დრო გლეხობის საქმეში.

საღამოს ჟამს სახლში თუ გარეთ ისმოდა სიტყვა: ტრაქტორი, კოლექტივიზაცია, „ჩვენი ხსნა“, ედიშერის სახელი.

△

სოფელში გაზაფხული გვალვით დაიწყო.

ბალახმა წვერი ვერ ამოყო გაფიცხებულ მიწიდან.

მოულოდნელ ქარ-სიცხემ გული გაუხეთქა სახნისზე მიმდგარ გლეხებს.

კოლექტივმა განიზრახა მის გაერთიანებულ მიწების ერთ ნაწილზე კულტურულ მცენარეების დათესვა.

ამ ხანებში სოფელში მიდიოდა არხზე მუშაობა.

კისერზე ჯვარ ჩამოკიდებული მღვდელი და ბობოლა გლეხები ხალხს არწმუნებდენ, რომ არხში წყალი არ წამოვაო, რადგან მდინარე ჩვენი სოფლიდგან დაბლა მიდისო!

ბევრს გული უცრუვდებოდა და სამუშაოს გაურბოდა.

არხის დამთავრება ფერხებოდა.

თხრილებში წყალი ლპებოდა. ბაყაყები ყიყინებდენ და ჩნდებოდა კოღო, ვრცელდებოდა ციებაც.

გვალვა გრძელდებოდა.

გლეხები სიმშილობის საფრთხეში ვარდებოდენ. რამოდენიმე ბობოლა გლეხმა სარწმუნოების გაძლიერების მიზნით მიმართეს მღვდელს და ხატით და ჯვარით იწყეს გვალვის მიზეზის ძებნა.

მღვდელი პროვოკაციას ეწეოდა, რომ ხატი გაებანათ.

△

გაზაფხულის ჩვეულებრივი დილაა.—მზე ბრწყინავს.

მიუხედავათ იმისა რომ ძლიერი გვალვა, იდგა გლეხები შეუდგენ ტრაქტორით მუშაობას.

ტრაქტორიც ბურღავდა მიწას.

— ოი! იხაროს და იძლიეროს მისმა მარჯვენმა ვინც შენ გაგაკეთა! ამბობდა მოხუცი ბაბუა და მალმალე ისვენებდა ბავშურ სიხალისით ადევნებული.

(დასასრული იქნება)

მხიარული შრომა

ცეცხლმა
ქურა
გაახურა,
აშიშინებს
ცეცხლი
რკინებს;
ყველამ
ქურას
მიაშურა,
ყველა
ძმურად
დაჭლიქინებს:
— დაჭკათ!
დაჭკათ!
თორემ
რკინა
გაცივდა და
გაიყინა!
— ტაკა-ტუკი!
დაგა-დუგი!
გადავადნოთ
შრომის ურგი!

ვისაც უქმად
უყვარს ჯდომა,
ჩვენს შორის ვერ
იბოგინებს;
ვაშა, ვაშა,
გარჯა-შრომას,
გაუმარჯოთ
შრომის გმირებს!
— ტაკა-ტუკი!
— დაგა-დუგი!
ცეცხლს შეუნთოთ
ყველა ურგი!

რეკავს
კვერი,
ცეკვავს
ჭანგი,
ბაგა-ბუგი
გააქვს
ურგოს;
გადამიტყდეს
ხელში ჩანგი,
თუ მეც
მათ არ
ვემსახურო!

— დაჭკათ!
დაჭკათ!
მამაცურად!
ერთსულოვნად!
მხნეთ და,
ძმურად!—
სჭექს
ქარგალი,
ხმა-მედგარი
და პერანგით
ხვითქში
სცურავს.

— ტაკა-ტუკი!
დაგა-დუგი!—
ძლიერდება
ცეცხლის ბული!
— დაჭკათ!
დაჭკათ!
გაბედულათ!
დე ჩვენი ხმა
ჭექუხდეს ძმურად!

ცეცხლის ალი
უყვართ
მჭედლებს,
მჭედლები კი
ცეცხლის ალსა;
ცეცხლი ვისაც
მიიკედლებს
გაუნათებს
მომავალსა
და არასდროს
არ აუბნევს
კოლექტიურ
გზა და კვალსა!

და ქურა კი,
ქშინავს
ქურა,
მხიარულად
გრგვინავს
ჭერი,
ყველას
მკერდი
შეემურა,
ყველა
ძმურად
ოფლს ღვრის,
მღერის!

რეკავს
გრდემლი,
ცეკვავს
კვერი
ნაპერწკლების
დგება მტვერი
და ოსტატიც
მკლავ-შიშველი
დაჰყიჟინებს:
— მარჯვეთ, ხელი!

და ამ ხმაზე,
მტკიცე ხმაზე,
კვერის ყოველ
მხნე დარტყმაზე,
საბერველი
ქშუის,
ქშინავს,
ნაპერწკლებიც
ფრინავს,
ბრწყინავს,
და იქმნება
შრომის ქება
მუსიკა და
ალტაცება!

— დაჰკათ,
ძმებო!
ძმებო,
დაჰკათ!—
სპექს ქარგალი
ფიცხი,
მალი
და ედება
ცეცხლის
ალი!

— ტაკა-ტუკი!
დაგა-დუგი!
ალიგავოს
ქვეყნის ურგი!

ქშინავს
ქურა,
გრგვინავს
ჭერი,
ჟღერის,
მღერის
გრდემლზე

კვერი!
— მალე, ძმებო!
აბა, მალე!
დაჰკათ!
დაჰკათ,
გენაცვალეთ!
— ტაკა-ტუკი!
დაგა-დუგი!
გავამაგროთ
ხალხის ზურგი!

ეგრე! ეგრე!
ჩქარა, ჩქარა!
ჰხედავთ:
მზეც კი
გადიხარა!
— დაგა-დუგი!
ბაგა-ბუგი!
დაიბუგოს
ჩვენი ურგი!

ქშინავს,
გმინავს
საბერველი,
დღეც ხალისით
გაიპარა.
ჰა, მანქანაც
სოფლის მხსნელი,—
შაბაშ, ყველას,
ბარაქალა!
და შენც, ქურავ,
შრომის ქურავ,
დაისვენე,
დადექ,
კმარა!

ალარ ელერის
გრდემლზე კვერი,
საბერველიც
ალარ ქშინავს
და დაყრუვდა
ყველაფერი,
ცეცხლმაც
ფერფლში მიიძინა.
ვალ-მოხდილნი,
კმაყოფილნი
მხიარულად
მივალთ შინა!

შალვა რადიანი

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

საქართველოში პროლეტარული ლიტერატურა თავისი არსებობის პირველ წლებში თითქმის მხოლოდ პოეზიით ამოიწურებოდა. ამ პერიოდში გამოცემულ ჟურნალებში („ქურა"), გაზეთებში („ქარხნის ჰანგები, „ორიონი"), ალმანახებში („პროლეტარული პოეტები" „ოქტომბერი" და სხვ.) აბსოლიუტურად უმეტესი ადგილი პოეზიას ჰქონდა დათმობილი. მაშინ პროლეტარული პროზა მხოლოდ ისახებოდა. ამიტომ ის ბელეტრისტული ფაქტები, რომლებიც აქა იქ მაინც ქვეყნდებოდა მეტად სუსტი და უმნიშვნელო იყო.

ამ მოვლენას განიცდიდა არა მარტო საქართველოს პროლეტ-ლიტერატურა, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისა.

სულ სხვა გვარად შეიცვალა დღეს მდგომარეობა. მთელი საბ-ჭოთა კავშირების მუშაობით დღეს პროლეტარული პროზა მნიშვნე-ლოვანი ძალაა,—პროლეტარულ პოეზიასთან ერთად.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი თანამედროვე პროლეტარული პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია საქართველო-ში. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც არის ავტორი რამოდენიმე კარგი და გამართლებული მხატვრული ნა-წარმოების.

ე. პოლუმორდვინოვის ლიტერატურულ მოღვაწეობას არ აქვს დიდი ხნის ისტორია. პირველი მისი პატარ-პატარა მოთხრობები გამოქვეყნდა 1923—24 წ. („პროლემაფ"-ში და სხვ.). მათი გამოქ-ვეყნების შემდეგ ე. პოლუმორდვინოვმა მთელი რიგი უფრო მნიშვ-ნელოვანი მხატვრული ფაქტი მოგვცა.

ამგვარად, ე. პოლუმორდვინოვის სამწერლო ზრდა უდავოა.

რა მხატვრული ფაქტები მოგვცა ელიზბარ პოლუმორდვინო-ვმა, როგორც პროლეტარულმა მწერალმა?.

„შაშშილარ"-ში ძველი და ახალი ყოფის, ძველი და ახალი „მსოფლმხედველობის" მომენტებია დაპირისპირებული. მოთხრობის მოქმედების ადგილი სვანეთია.

ძველი ყოფის დამახასიათებელ მომენტებად ნაწარმოებში მო-ცემულია: ცდა ქალის (აბაშხას) მოტაცებისა, იარაღით შეტაკება სი-სხლის აღების ნიადაგზე, ცრუმორწმუნეობა და სხვ.

ახალი ყოფის წარმომადგენელი ბათირია. ის ახალი ადამიანია:

„თემში თუ რამე იმართება, ბათირია მიზეზი, თუ რამე კეთ-დება ისევ ბათირის წყალობით. ვინმეს რამე გაუჭირდება—ბათირი აძლევს საშველს და სწორედ ამიტომ უყვარს ის ყველას, ყველა იც-ნობს მას".

ბათირი სოფლად სამკითხველოს ხელმძღვანელიც არის. სამკი-თხველოში სულ ორასამდე წიგნი ალაგია. სოფელს კლუბიც აქვს.

ამ მოთხრობის მეორე გმირი გევაა. ის ყოველმხრივ უკვე გა-დასული, ძველი ცხოვრების ნაშთია. ის აგრეთვე „სისხლ აუღებელი კაცია," როგორც ამბობს აბაშხას დედა. მას განზრახული აქვს აბაშ-ხას მოტაცება. მაგრამ ამ განზრახვის შესრულებაზე მას ხელს უშ-ლის ბათირი. ამიტომ გევა და ბათირი მტრები ხდებიან.

ბათირი შეუსვენებლივ მუშაობს სოფლის საკეთილდღეოთ, სურს სოფლად განათლება და კეთილდღეობა შეიტანოს. ის სოფელში რა-

დიოს აწყობს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ სოფელი ბათირის ასეთ ზრუნვას სიხარულით შეხვდეს, პირიქით მტრულად ხვდება: სოფ-ლელები ცრუმორწმუნოებით არიან გამსჭვალულნი,—აგრეთვე გევას წაქეზებით ისინი ანადგურებენ ბათირის ხელმძღვანელობით მოწყობილ რადიოს:

„ყველასათვის გასაგებად და გარკვევით იფანტებოდა სიტყვები პირგადახსნილი მილიდან. იჭვითა და განცვიფრებით სწვდებოდა მსმენელთა გულებს. აქა-იქ მოხუცები ბუზღუნებდენ, მათ თავიანთ სიცოცხლეში არ გაეგონათ და არც ენახათ ასეთი უცნაურობა...

— რკინა როგორ ილაპარაკებს, რკინა მკვდარია!..

— საშინელი რამ მოუტანიათ ჩვენ თემში.

გაისმა სიტყვები და სიტყვებმა იჭვი დაბადეს მსმენელებში. ვილაკიმ კიდევ ხმამაღლა წარმოისროლა:

— რკინა კი არა, ავი სულია დაბუდებული.

უცბად ამ ხალხს აღმოხდა გაოცების ბგერები. გაგანიერებული თვალის გუგებით ერთმანეთს აცქერდებოდენ და მართავდენ მითქმა-მოთქმას...

აი გაისმა მკვეთრი სიტყვა:

— დავამსხვრიოთ.

და როგორც ერთი ადამიანი, ისე იგრიალა ხალხმა“..

ბათირი ცდილობს სოფელი გამოაფხიზლოს, დაუმტკიცოს ცრუმორწმუნეობის არარაობა.

... „ბათირი შეხტა მაღლობზე. არწივივით გადაავლო აცეცხლებული თვალები, დამუშტული ხელი წარმართა წინ და გადასძახა:

— ვინ არის მანდ, რომ ბედავს თემის ამღვრევას. ან რკინებში ჭინკებს ვინ ჩააბუდებდა?“.

ბათირის მიერ თემში სიხარულით შემოტანილი რადიო დაამტვრიეს.

მხოლოდ აბაშხა იყო ბათირის თანამგრძნობი:

„ამლელვარებულ ხალხში ბუნდოვანად არკვევდა (ე. ი. ბათირი—შ. რ.) აბაშხას სახეს, რომელსაც ლოყებზე ცრემლები უგორდებოდა, თვალს არ აცილებდა მის (ე. ი. ბათირის—შ. რ.) სახეზე ჩამომდინარე სისხლს“.

ასეთი ფაქტი სინამდვილეში მართლაც ხდება. დღეს ძველსა და ახალ ყოფას შორის მეტად მკაცრი შეჯახება სწარმოებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ისეთ ჩამორჩენილ ადგილებში, როგორიც არის სვანეთი და სხვ.

„ორი მზე“-ც თანადროული თემაა. მასში ჩვენი აღმშენებლობითი მომენტი—ზაჰესია მოცემული. აგრეთვე ნაწარმოებში პარალელურად განვითარებულია „რომანტიული“ ამბავი. ამგვარად, „ორ მზე“-ში არსებითად ორი პრობლემაა—აღმშენებლობის და ოჯახის

მოთხრობა იწყება ავჭალის სურათებით. ავტორი გვაცნობს ძველ ავჭალას, სადაც ზაჰესამდე ყოველივე ტრადიციული იყო.

„... ღამეში... ავჭალა ისევე მშვიდია, როგორც მტკვარი...

„ბუუტავს ფანჯრებიდან ჭრაქების სინათლე და ოდნავ მოსჩანს ჭვარტლიანი სახე ქოხების...

„თენდება მწიფე ქლიავის ფერად და იღვიძებს სოფელი, ღამით თითქო არ არსებული, იღვიძებს ჭკვიანად, მორცხვად...

„ასეთი იყო ხოლმე ღამე და გათენება ავჭალაში, მუდამ, მრავალი წლის განმავლობაში“.

სულ სხვაა ახალი, საბჭოთა ავჭალა. აქ ეხლა პროლეტარიატის მტკიცე ხელია შესული, ის თავისი მტკიცე ძალით ავჭალის ელექტროფიკაციას ახდენს, საფუძველს უყრის სოციალისტურ აღმშენებლობას:

„ღამეა, პირბადედახეული, პატარა ცა ავჭალასთან ელნათურების სინათლით აწეულია მაღლა და უხვად გაფანტული ბრჭყვიალა ნემსები იყრება ჭალებზე, მტკვარზე, ფერდოებზე“.

„თეფშივით გაშლილ მიდამოზე წამომდგარა მრავალი, ჯერ კიდევ შეუღებავი სახლები და განათებული ელექტრონის ულეველი ნაკადით ზურგშებრუნებული შესცქერის ღამეს“...

„და ასე, ათასი მარჯვენის, ათასი გულის და ათასი კუნთის მოძრაობაში დაილია ღამე,—როგორც ერთი ხელადა ღვინო“...

როდესაც მოთხრობაში ამ სურათებს ეცნობით, ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად დარწმუნებული ხართ, რომ ამ დიად სოციალისტური აღმშენებლობის ფაქტის მხატვრული ფერებით მოცემას კიდევ უფრო გააძლიერებს და გააღრმავებს მწერალი, მაგრამ სულ სხვა ხდება: „რომანტიკამ“, „ოჯახის“ ამბავმა ისე გაიტაცა ის, რომ სულ დაავიწყდა ავჭალა და ელექტროფიკაცია:

ჯავარი ზაჰესის აღმშენებლობაში ღებულობს მონაწილეობას, ის პასუხისმგებელი მომუშავეა. მას იქვე ჰყავს ცოლი—დალი და შვილი—გია. ზაჰესშივე მუშაობს ნოდარი. მასა და დალის შორის „რომანტიული“ განწყობილების ძაფი იბმება. ბოლოს ზაჰესის არხში იღუპება ჯავარის და დალის შვილი—გია. ამით თავდება „ორი მზე“.

ამ მოთხრობაში სხვებთან შედარებით უფრო დასრულებულ ტიპად ჯავარი არის მოცემული. ის კომუნისტია. მას შეგნებული აქვს თუ რისთვის შენდება ზაჰესი,—რა როლი ექნება მას ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში. ხელში მას თავისი გაცივებული შვილის გვამი უჭირავს, მისი ტკივილი უსაზღვრო იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ მხოლოდ ერთი გრძნობა არ ასულდგმულებდა მას. „კიდევ სხვა გრძნობაც ენთო მის სხეულში, რომელიც მომავლისათვის იმედებს უნთებდა“.

„შრომაში პოულობდა დასვენებას.

„სჯეროდა მტკიცედ, რომ სულ მალე მიაღწევდა მიზანს, ხელში მოიგდებდა მრავალი საუკუნის განმავლობაში თვის ნებაზე მოდუდუნე მტკვარს და ბინდისას მთების მწვერვალებიდან დაგორდებოდა, თუ არა ოქროს მზე, ამავე მტკვარით ამოიჭრებოდა სივრცეში მეორე მზე, ტფილისის მზე“.

ნოდარი და დალი მეტად მკრთალად არიან „განათებულნი“. კერძოთ, ნოდარი მეტად სანტიმენტალური ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამას ის ნათლად ამჟღავნებს თავის ზერელე და დაუსაბუთებელ მსჯელობაში ისეთი დიდი პრობლემის ირგვლივ, როგორიცაა ოჯახი.

საერთოდ ორ „მზე“-ში ბევრი რამ მკრთალად არის მოცემული, არის ბუნდოვანება და არა ბუნებრივობაც. მოთხრობის გმირები სქემატიურად არიან მოცემულნი. ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის დიდი ფაქტორი—ზაჰესი ხომ „კუთხიდან“ არის განათებული...

აქვე აღსანიშნავია ერთი რამ: ზოგიერთმა პროლეტ-კრიტიკოსმა ე. პოლუმორდვინოვს ბრალი დასდო „ეროტიზმში“, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ორ მზე“-ში „ფიზიოლოგიურ“ პროცესს და სხვ. მაგრამ ამ საკითხისადმი აუცილებელია მეტის-მეტად ფრთხილად მიდგომა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სფეროში საზღვარი ჯანსაღსა და არა ჯანსაღს შორის, ნებადართულსა და დაუშვებელს შორის საკმაოდ არაა გარკვეული და ნათელი. ყოველთვის არ შეიძლება ითქვას, თუ სად იწყება ცხოვრების რეალურ-მხატვრული მოცემა და სად იწყება ეროტიკა. ამ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმი აქ არის კრიტიკოსის გემოვნება, რაც რასაკვირველია, ხშირად შეიძლება სუბიექტიური იყოს.

თუ მაგალითად, გრ. რობაქიძეს და კ. გამსახურდიას თავიანთ მხატვრულ ფაქტებში სქესობრივ მომენტების ასახვის დროს ხშირად აქვთ დაკარგული გრძნობის საზღვარი, ეს საერთოდ ე. პოლუმორდვინოვის შესახებ არ ითქმის. აქ მას შეიძლება მხოლოდ ბრალი და-

ვსდოთ იმაში, რომ ის ღრმად არ აშუქებს სქესობრივ პრობლემას და ამიტომ მის მხატვრულ ფაქტებში ზერელეთ არის „გამოკიდებული“.

„წარმოდგენა“-ში ძველი და ახალი სოფლის ურთიერთობის ფაქტია ერთმანეთთან დაპირისპირებული:

კომკავშირელები წითელარმიელის დახმარებით და ხელმძღვანელობით ყოფილ ეკლესიაში სდგამენ წარმოდგენას. მღვდელი ვერ ითმენს ამ მოვლენას. ის ხომ ძველი ქვეყნის წარმომადგენელია, ეს ეკლესიაც—ახლა კლუბად—საზოგადოებრივ დაწესებულებად გადაქცეული, ხომ მას ეკუთვნოდა ერთ დროს. გაბოროტებული მღვდელი ცეცხლს უჩენს ყოფილ ეკლესიას.

ამ მოთხრობაში სადა შინაარსია მოცემული, მაგრამ ისე გულწრფელად, დაჯერებულად და თანამედროვე ცხოვრების ფაქტების ცოდნითაა დაწერილი, რომ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მნიშვნელოვანი ნაწარმოებია აგრეთვე „საქეები“. აქ მოცემულია ყალბი, კომპარტიაში შემოპარული ადამიანის ტიპი. ეს კომუნისტი ძველი ტრადიციების ყურ-მოჭრილი მონაა. ის იტაცებს ქალს, მაგრამ უშედეგოთ. შემდეგ პარტბილეთს და სიცოცხლესაც ჰკარგავს.

გარდა თანადროულ მოთხრობებისა, ე. პოლმორდვინოვი ავტორია რამოდენიმე ისეთი მხატვრული ფაქტის, რომელშიაც თითქოს ის წარსული ცხოვრების იდეალიზაციას ახდენს. ასეთი მოთხრობებია „ვერცხლის ქამარი“ და „ლურჯი სუფრა“. მათში ძველი ტფილისის ყარაჩოღელთა ცხოვრების სურათებია:

„ლურჯი სუფრა“ ასახვაა ძველი ტფილისის მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრების; აქ არის: სიყვარულის ამბავი, ქეიფი და ღვინის სმა ყანწებით, ზურნა ცეკვით, ყოჩების ჭიდაობა და სხვ.

ასეთივე განწყობილებისა და შინაარსისაა „ვერცხლის ქამარი“-ც. აქაც ყარაჩოღელები და მათი დარდიმანდული ცხოვრებაა გადმოშლილი.

ეს ორი მოთხრობა ე. პოლუმორდვინოვს, როგორც პროლეტარულ მწერალს თითქმის არაფერს მატებს. ისინი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ, როგორც ფორმალურ სრულყოფისათვის მუშაობის ნიმუშები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვერცხლის ქამარი“ და „ლურჯი სუფრა“ ე. პოლუმორდვინოვმა დიდი ხნის წინად დასწერა. მათი დაწერის შემდეგ მან მოგვცა: „შაშშილარ“, „ორი მზე“, „წარმოდგენა“, „ხანძარი“ და სხვ; ნაწარმოებები, რომლებიც იდეოლოგიურათ და ფორმალურად გამართლებული არიან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ე. პოლუმორდვინოვი გაურბის თანამედროვე რევოლიუციონური ცხოვრების, ურთიერთობის, ბრძოლის და აღმშენებლობის გრანდიოზული თემების მხატვრულ გაშუქებას. ის თითქოს ზოგჯერ ვერ პოულობს (!) საინტერესო და საყურადღებო სიუჟეტს და ამიტომ რამოდენიმეთ უფერულ „ამბებს" იძლევა...

ე. პოლუმორდუნოვის თემატიკის გაცნობა გვიმტკიცებს, მისი ნაწარმოებების ძირითად იდეიას ახასიათებს: გვიჩვენოს პროლეტარული მსოფლმხედველობის, პროლეტარული მისწრაფებების ბრძოლა მტრულად განწყობილ სტიქიასთან, ახალი სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობა და სხვ. მაგრამ აქ ე. პოლუმორდვინოვი განსაზვრული საფრთხის წინაშე იმყოფება. ეს საფრთხე განსაკუთრებით ნათელი იქნება ჩვენთვის თუ გავეცნობით, როგორ სწყვეტს ის ნაწარმოებში დასმულ პრობლემებს. მის მიერ პრობლემების გადაწყვეტა თითქმის არასდროს არ გაკმაყოფილებთ, არ იძლევა იმპულსს შემდგომი მსჯელობისათვის და ფიქრისათვის. ე. პოლუმორდვინოვის გმირები ზერელე, წვრილმანი და პატარეები არიან. მათი იდეებიც ამის შესაფერისია; მათ თითქმის არ ყოფნით სიტყვები ამ იდეების გამოსათქმელად, ხოლო ავტორს კი ინტონაცია, რომ ხაზი გაუსვას ამ მოვლენას. ამით აიხსნება სხვათა შორის მის ნაწარმოებში დიალოგების სიმცირე, მოქმედების განუვითარებლობა. ამიტომვეა განუვითარებელი გმირების საერთო ფსიქოლოგია, ხშირად მათ მოქმედებას აკლია შინაგანი ფსიქოლოგიური დასაბუთებაც.

აგრეთვე, ე. პოლუმორდვინოვის მიერ მოცემული პერსონაჟები უფრო ხშირად „ფიზიკური" მხრით არის მიპყრობილი მკითხველისაკენ და არა თავისი განცდებით, დამახასიათებელი მომენტებით, მოქმედებით და სხვ. ეს კი უსათუოდ სუსტი მხარეა მწერლისათვის.

ე. პოლუმორდვინოვი—რეალისტია. ის ცხოვრების გამოხატვას ცდილობს, რაც შეიძლება სწორად თავისი კონკრეტიული მომენტებით, აგრეთვე ის მიმართავს სიმბოლიკას და რომანტიკა—იდეალიზაციასაც.

ერთ-ერთი, არსებული, დამახასიათებელი თვისება ე. პოლუმორდვინოვის როგორც მწერალის არის ის, რომ ის თავის ნაწარმოებების გმირებს მეტის-მეტად ზერელედ გვიხასიათებს. გმირების დახასიათება ჩვეულებრივად მოცემულია მხოლოდ მათივე საუბრებით.

ამიტომ, მის მიერ მოცემულ გმირებ' ვითვისებთ არა, როგორც დასრულებულ ტიპებს, არამედ, როგორც ტიპების ოქმებს.

ხშირად ე. პოლუმორდვინოვის მხატვრულ ფაქტებში გმირების მოქმედებას ან მსჯელობას აკლია მოტივიროვკა. აგრეთვე ის ზოგჯერ ნაწარმოების სიუჟეტს ვერ იმორჩილებს სათანადოთ.

ნაწარმოების ფაბულას ე. პოლუმორდვინოვი ანვითარებს უბრალოთ: თანამიმდევრობით, ქრონოლოგიურათ, აგვიწერს მოვლენებს. ნაწარმოებში ხშირად არ აქვს ინტრიგა და ეფექტიური სიტუაციები.

ე. პოლუმორდვინოვის სტილი საუბრო ადგილებში, პეიზაჟების აღწერაში, გმირების სულიერ განცდების დროს ხასიათდება უბრალოებით და ხშირად ერთფეროვნებით, ჩვეულებრივი სასაუბრო ნისა. აგრეთვე მას ახასიათებს წერა მოკლე წინადადებებით, მოკლე სტრიქონებით.

ე. პოლუმორდვინოვი ძლიერ არის დაინტერესებული სახეებით და მეტაფორებით და ამიტომ ჭარბათ არის მის მოთხრობებში ისინი.

აქვს ორიგინალური და საინტერესო სახეები და მეტაფორებიც. თუმცა აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ის სახეებს მეტად გამარტივებულათ, მდარეთ აშენებს.

ე. პოლუმორდვინოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მას აქვს მიღწევები, მაგრამ უფრო მეტი მას მომავალში აქვს გასაკეთებელი. ნიჭი და უნარი წინსვლისათვის მას აქვს. მხოლოდ ეხლა ესაჭიროება მას მეტი მუშაობა და მეტი კრიტიკული დამოკიდებულება თავის თავის მიმართ.

ე. პოლუმორდვინოვისაგან უფრო მეტს და საყურადღებოს მომავალში მოველით.

ალექსანდრე სულავა

ერთ პროლეტარული რომანის შესახებ

მხატვრული ლიტერატურა კულტურის ერთ-ერთი ძლიერი სახეთაგანია, ამ ფრონტზე რევოლიუციის მატარებელ კლასის წარმატება და მისი კლასიური მიზნების გაბატონება უკვე გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ ის კარდინალური ამოცანები, რომელიც ჩვენი ყო-

ველდღიური ბრძოლის შინაარს შეადგენს არ შეიძლება დაიტიოს და დიდ ეპიურ ტილოების სახით გამოიკვეთოს ლიტერატურის ისეთი ძლიერი ჟანრის გარეშე, როგორც არის მხატვრული პროზა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში კი პირიქით, დაწყებული პროლეტარული მწერლობით და გათავებული არა პროლეტარული მწერლობით ძლიერია ტენდენცია პოეზიისადმი.

შეიძლება ეს იყოს ტრადიციული ტენდენცია, მაგრამ უდავოა, რომ ის უნდა გაირღვეს და ჩვენი ლატერატურის პირველ პლანზე პროზას დაეთმოს სათანადო ადგილი.

მხატვრული პროზის გარეშე არ შეიძლება არც-ერთი ეპოქის ლიტერატურის წარმოდგენა და მით უმეტეს ისეთ ეპოქაში, როგორც არის ჩვენი დღევანდლობა, როცა ახალი ისტორიული სინამდვილე ითხოვს თავის მხატვრულ გამტკიცებას. ეს კი შესაძლებელია პროზის სათანადო განვითარების საშვალებით, განსაკუთრებულათ კი პროლეტარული პროზის საშუალებით, რომელიც იმ თავითვე გულისხმობს გარკვეულ კლასიურ საქმეს.

სახარბიელოა ამ მხრივ რუსული პროლეტარული ლიტერატურის სინამდვილე, რომელიც მეტად წინ სდგას საქართველოს პროლეტარულ მწერლობასთან შედარებით, თუ აქ ჩვენი მწერლობა უმთავრესად პოეზიის ხარჯზე ვითარდება, იქ პირიქით; პროლეტარული მწერლობის მთელ აქტივს პროზაიკები შეადგენენ.

არ რჩება ჩვენი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა და მხარე, რომელიც პრაქტიკული მწერლის მხატვრულ მასალათ არ ხდებოდეს. ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ პროლეტარული მწერლების მთელი რიგი ნაწარმოები ამ მხრივ მთელ ლიტერატურულ „ამინდს“ ქმნიან. დაწყებული თ. გლადკოვის „ცემენტით“, რომლის მნიშვნელობა დღემდის არ შესუსტებულა და გათავებული თუ გინდ სემიონოვის „ნატალია ტარპოვათი“ ან პანფეროვის „ბრუსკით“ ყველაფერი ეს შეადგენს მდიდარ მხატვრულ საგანძურს პროლეტარული მწერლობის მიერ ჰეგემონიის მოპოების გზაზე. ამ მდგომარეობის ანალოგიურ ფაქტზე რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით არ შეიძლება ლაპარაკი ჩვენში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ კერძოთ პროზაში პროლეტარული მწერლები მხოლოდ ეხლა იწყებენ მუშაობას.

ჩვენში თუ პროლეტარული პოეტები შეიძლება თამამათ ჩაითვალოს ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე ძალათ, სამწუხაროთ ამას ვერ ვიტყვით პროლეტარულ ბელეტრისტიკის შესახებ.

ფაქტია, რომ ჩვენი ბელეტრისტიკა, იმდენათ სუსტია, რომ არ მოიპოვება ისეთი ხელშესახები ნაწარმოები, რომელიც ოდნავ მაინც გამოხატავდეს ჩვენი სინამდვილის რომელიმე მნიშვნელოვან მხარეს და თავის თავად რაიმე მხატვრულ ღირებულებასაც შეიცავდეს.

ჩვენი პროლეტარული მწერლები ჯერ რატომღაც ვერ კიდებენ ხელს ამ ამოცანას. ამიტომ ეს ადგილი დღემდი ცარიელი რჩება და ჩვენი დღევანდლობის მეტად მდიდარი თემები ი. ლიბედინსკის სიტყვით, რომ ვთქვათ, ელიან თავიანთ მხატვრებს.

არ იქნა და პროლეტარული მწერალი ვერ შეეჩვია პროზაში დინჯ და სერიოზულ მუშაობას, იწერება პატარა მოთხრობები, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ურეზონანსოთ რჩებიან, ფართო ტილოებზე ლაპარაკი კი ხომ ზედმეტია, მაგრამ აქედან უარყოფითი დასკვნების გამოტანაც არ შეიძლება, საჭიროა მხოლოდ ჩვენმა კრიტიკამ და მთელ პროლეტარულ საზოგადოებრივობამ მეტი დაწოლა მოახდინოს ამ მიმართულებით და მეტი მოთხოვნილებები წარუდგინოს პროლეტარულ მწერალს იმისათვის, რომ მან შეასრულოს ჩვენი თანადროულობის მოთხოვნილებები, რაც შეეხება პროლეტარული მწერლების შესაძლებლობას ამ მხრივ ამისი ნიშნები რასაკვირველია ბევრია, კერძოთ თუგინდ კ. ლორთქიფანიძის რომანი „ხავსი“ რომელიც უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ნაწარმოები, რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა.

მართალია ჩვენი კრიტიკაც, იმდენათ სუსტია, რომ ხშირად კარგი ნაწარმოების შეფასებაც ერთ ან ორ „უშნო“ რეცენზიით ამოიწურება, მაგრამ კ. ლორთქიფანიძის „ხავსისადმი“ ასეთი სიჩუმე ერთი მხრით შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ ის არ წარმოადგენს იდეურად აქტუალური შინაარსის მქონე ნაწარმოებს, მაგრამ მეორე მხრივ ბრალი ედოს თვით ჩვენს კრიტიკას, რომელმაც თავის დროზე არაფერი სთქვა მის შესახებ და ეს სიჩუმე დღემდის გრძელდება, მაშინ, როცა რომანმა უკვე იშოვა დამოუკიდებლათ თავისი მკითხველები. ლიტერატურაში ასეთი შემთხვევა პირველი არ არის, მაგრამ, რაც მთავარია მკითხველთა ეს კონტინგენტი სწორედ იმ კომკავშირულ ახალგაზრდობას შეადგენს, რომელიც დღეს ხარბათ ეწაფება ლიტერატურას და სერიოზულათ ეკიდება პროლეტარულ მწერლობას, როგორც საკუთარ კლასიურ ინტერესების მატარებელ მწერლებს.

ისმება საკითხი, რაშია ამ რომანის რეზონანსი? რათ გახდა იგი კომკავშირული ახალგაზრდობის ყურადღების ღირსი?, რომ ეს

ასე ფაქტია, ჩვენს პრესაში (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ და სხვ.) ხშირად იბეჭდება კორესპონდენციები კ. ლორთქიფანიძის „ხავსის“ გმირების გასამართლების გამო პროვინციის სხვა და სხვა ლიტერატურულ წრეებში, რაც მასიურ ხასიათს იღებს და ამავე დროს იმის მაჩვენებელია, რომ ამ რომანმა იშოვა მკითხველები. და რაც მთავარია ისეთი მკითხველები, რომელნიც ყოველ პროლეტარულ მწერლისათვის სასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ეჭვი არავის ეპარება, რომ კ. ლორთქიფანიძეს, როგორც საუკეთესო პროლეტარულ პოეტს იცნობს და კითხულობს ჩვენი ახალგაზრდობა, მაგრამ სულ სხვაა როცა საკითხი კონკრეტიულად. უფრო რთული ნაწარმოების შესახებ დგება აქ საქმე იმაშიცაა, რომ რომანის მთავარი გმირი გუგა როგავა კომკავშირელია, ყოველ შემთხვევაში კომკავშირულ ორგანიზაციაში მომუშავე. რომანის კოლიზია ამ ფონზე ვითარდება და ბევრ შემთხვევაში იძლევა კომკავშირული მასის, როგორც ორგანიზაციულ ისე ყოფა-ცხოვრებითი მომენტებს. მართალია „ხავსი“ არ არის ფართე საზოგადოებრივი ხასიათის რომანი, იგი არ იშლება ფართე საზოგადოებრივ ფონზე, არამედ წარმოადგენს ვიწრო შინაარსის რომანს სადაც ცენტრალურ მოვლენათ აღებულია რომანტიულად გაწყობილი ადამიანების ცხოვრება. ამ მხრივ იგი („ხავსი“) უფრო ლირიული რომანია, რომელშიაც რასაკვირველია სუსტია ეპიური ელემენტები. ფაქტების და მოვლენების კომპლექსი ლირიული მომენტითაა ურთიერთ შეკავშირებული. ეს კი არღვევს რომანის მთლიან კომპოზიციურ ხერხემალს; გარდა იმისა, რომ მასში მთელი რიგი ზედმეტი თავებია („უცნაური მეეზოვე“ „მთვარე და ტიგრან“ და სხვა) რომელიც რომანის შინაარს არაფერს მატებს პირიქით ამძიმებს და გაზვიადებულ სახეს აძლევს, მიუხედავათ ამისა „ხავსი“ არაა მნიშვნელობას მოკლებული ნაწარმოები, როგორც პირველი ცდა, „დიდ“ ტილოზე კალმის გამოცდის, სადაც თუ სხვა რამ არა, მწერლის ნიჭი მაინც უტყუარად სჩანს, თავისი მდიდარი სახეების და გმირების განცდათა და განწყობილებათა აღწერა გადმოცემით, რასაკვირველია, ნაწარმოების ნაკლათ უნდა ჩაითვალოს მოვლენების და გმირების მოქმედების იმპესიონისტული გადმოცემა და სახეებით „იმპერიალიზმი“, რაც ამ ფაქტს მთლიანად მსუბუქი ხასიათის ნაწარმოებათ ხდის. რომანის გმირი თავის თავად გარდა იმისა, რომ ზედმეტი ადამიანის ტიპია, მოხაზულია სხემატიურად, და სრულებით არ ატარებს ცოცხალი და დასრულებული ადამიანის სახეს. მაგრამ სამწუხარო უფრო ისაა, რომ კომკავშირი, რომელსაც მიუძღვის ბევრი რამ გმირული საქმეები პროლეტარული რევოლუ-

ციის და სოციალისტურ მშენებლობაში, აქ წარმოდგენილია ზედმეტი ადამიანის—კომკავშირელის ტიპით, უფრო მეტი, გუგა როგავა არა კომკავშირელი, არამედ ობივატელი, წვრილ-ბურჟუაზიული ავათმყოფური განწყობილებებით დასნეულებული. მართალია ბევრია ისეთი კომკავშირელი, რომელიც ბუხარინის სიტყვებით, რომ ვთქვათ „გოსპლანის საკონტროლო ციფრებში ნაკლებათ გრძნობს სოციალიზმის ზრდის მუსიკას“, მაგრამ ეს გამონაკლისებია და მისი ამოკრეფა ლიტერატურისათვის არა მაინც და მაინც დადებითი მნიშვნელობის საქმე თ. გლადკოვს სრულიათ სამართლიანათ თავს დაესხენ, როცა დასწერა «Пяное солнце» სადაც კომკავშირლების ცხოვრება მოხაზა მხოლოდ შავი ლაქებით. გლადკოვმა გვიჩვენა კომკავშირლები სანატორიუმში, სადაც ჩვეულებრივ ორი კვირაში რჩებიან, მაგრამ რას შვებიან დანარჩენ ორმოცდა ათ კვირის განმავლობაში კომკავშირლები ეს მან არ იცისო, სწერდენ ამ ნაწარმოების შესახებ თვით კომკავშირლები, გლადკოვმა გვიჩვენა კომკავშირლების ტიპები სანატორიის ფონზე, მაგრამ იგი ვერ გაბედავდა ეჩვენებია ისინი სოციალისტური მშენებლობის ფონზეც „მგზავსი ბრალდების წამოყენება შეიძლება კ. ლორთქიფანიძის მიმართაც, იმ განსხვავებით, რომ მან გაბედა ეჩვენებია არა თუ მარტო სოციალისტური აღმშენებლობის ფონზე, არამედ პოლიტიკური ბრძოლის მწვავე მომენტებში—თავისი მოღლილი კომკავშირელის ტიპი როგავა.

როგავას ფსიხოლოგიური ტრაგედია, არა ერთი და ორი ადამიანის უბრალო ტრაგედიაა, როგავეები ბევრია, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარულ მწერალს მიეცეს უფლება მხოლოდ ცხოვრების რუხი და ზედმეტი მოვლენები ეძიოს?

რასაკვირველია არა.

ჩვენ გვესაჭიროება პათოსის, ენტუზიაზმის და ოპტიმიზმის მომცემი ნაწარმოებები.

როგორ ტიპს წარმოადგენს რომანის ეს ცენტრალური ფიგურა—როგავა?

იგი სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელია, მას რევოლიუცია სასწავლებელში ფანჯრის მინებთან ნერვიულათ თითების თამაშის დროს უსწრებს. რევოლიუცია იზიდავს მის რომანტიულ ბუნებას, მიუხედავათ იმისა, რომ სისხლის ეშინია იგი მაინც მიყვება მას, მსახურებს საგანგებო კომისიაში მაგრამ „მშვიდ და ჩუმ დღეებში“ კომკავშირის ბილეთით ჯიბეში. იგი დაცემულობას განიცდის, მისი ბუნება რომანტიულია და ვერ ეგუება აღმშენებლობის დინჯ პროზას. მას მობეზრდა კრებები, უჯრედი და ხსნას ისევ ვიღაცა ნათავადარ

ქალის—მერის სიყვარულში ეძებს, ქალის მამა პოლიტიკურად საეჭ-ვო პიროვნებაა და საგანგებო კომისიაში ზის, მაგრამ სიყვარულით ნება დაკარგული, ის ივიწყებს კლასიურ გრძნობას, ანთავისუფლებს, მას და შემდეგ თვითონაც გარბის ქალაქიდან, შორეულ, ყრუ სოფ-ლისაკენ. გამორიცხული კომკავშირიდან და გზა აბნეული ის მომა-ვალი შვილის მოლოდინში ელის სიხარულს, მაგრამ დეგენერატიუ-ლი შთამომავლობის ქალისგან მახინჯი ბავშვი იბადება. იმსხვრევა მისი უკანასკნელი იმედი, მაგრამ ხსნა ისევ ბრძოლაშია და ისიც ილუპება მენშევიკური აჯანყების დროს, როგორც უკანასკნელი რო-მანტიკოსი.

ასეთია მოკლეთ, რომანის შინაარსი.

რომანის კომპოზიცია სუსტია. თხრობის მანერა არაა ეპიური, მაგრამ რომანი მაინც არ გადადის უმცირეს წინააღმდეგობაში. იგი დაწერილია ცოცხლათ და თავდებია იმის, რომ მწერალში არის პროზაიკული უნარი, რასაც ამტკიცებს ამ რომანთან ერთად მის მიერ შემდეგ დაწერილი ორიგინალური მოთხრობა „ფოტოგრაფი“ „მესამე გზა“ და სხვა.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
1. **ფრიდონ ნაროუშვილი**—ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში (ლექსი პირველი)	1
2. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—ნაწყვეტები რომანიდან .	3
3. **კალე ბობოხიძე**—საბჭოთა აფხაზეთი	15
4. **გიორგი კაჭახიძე**—ამხანაგური	15
5. **სერგო ჯავშანიძე**—პირველი ტრაქტორი (გაგრძელება) .	16
6. **გიორგი ქუჩიშვილი**—მხიარული შრომა	30
7. **შალვა რადიანი.**—ელიზბარ პოლუმორდვინოვი	32
8. **ალექსანდრე სულავა.**—ერთი პროლეტარული რომანის შესახებ	39

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია ღიაა ყოველ დღე

გარდა სამშაბათისა და კვირისა

9 საათიდან **2** საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ია. მაჩაბელის ქუჩა № 13.
სოლოვნეფის სასახლე. ტელ. 24—51.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკ. 2339 მთავ. 1699. ტირაჟი 1000.

ფასი 50 კაპ.

სახელგამი

წელიწადი მეორე

პროდეფარული მნეობა

საქართველოს პროლეტარულ-მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის

წელიწადში 4 მან. სამი თვით 1 მან. 20 კაპ. ექვსი თვით 2 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

რედაქცია
ტფილისი, ივ. მაჩაბელის ქ. № 13.
ხელოვნების სასახლე.
ტელ. 24—51

კანტორა
ტფილისი, სახელგამი პერიოდ სექტორი.
რუსთაველის პრ. № 22